975/2
2002

ეროვნული
ბიბლიოთეკა
1-ვ



# ბურჯი ეროვნებისა

№9
2002

ბესარიონ ჟორჟენაძის საზოგადოების ჟურნალი

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ნინო (ციცინო) კვანტალიანი

პასუხისმგებელი რედაქტორი
რუსუდან ლანდია

რედაქტორები:
მარინე კიკონიშვილი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ინგა ლუტიძე
ნინო ჭუმბურიძე.

მხატვრული რედაქცია და დიზაინი
ირაკლი აბალიანისა

კონსულტანტი
იოსებ ჭუმბურიძე

მხატვარი
გია ლაშხი

სარედაქციო საბჭო:
მარინე ბერიძე,
გენადი ბურჭულაძე,
ლეილა გეგუჩაძე,
კახა გაბუნია,
თორნიკე გოგოლაშვილი,
ლილი გოქსაძე,
ქეთევან დათუკიშვილი,
ნანა ურთაშვილი,
ჭაბუკა ქირია,
მიხეილ ქურდიანი,
ლევან ლეინჯილია,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჟორჟენაძე.

დირექტორი
† მირიან ხაჭვანი

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ 12.04.99. № 4/9-88.

მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8
ტ. 99-75-48

E-mail. burji@posta.ge

## ბესარიონ ჟორჟენაძე 80 წლისაა

„გამაოგნებელი და თავზარდამცემია **ბესიკ ჟორჟენაძის** სიკვდილი არა მარტო აბსოლუტურად მოულოდნელობის გამო, არამედ უფრო იმის გაცნობიერებით, რომ დანაკლისი უმძიმესია და აუნაზღაურებელი, შეუცვლელი. მას ბადალი არ ჰყავდა მეცნიერული მოღვაწეობის შედეგიანობით თავის თაობაში. შედეგები კი ნამდვილად შთამბეჭდავი იყო არა მარტო სიუხვითა და აკადემიზმით, არამედ იმითაც, რომ ეს შედეგები მოპოვებული იყო ქართული ენათმეცნიერების არა ყამირზე, არამედ კარგად დამუშავებულ ნარბილზე. იოლი სრულებით არ იყო ქართული ენათმეცნიერების კლასიკოსების — აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, გიორგი როგავას, გივი მაჭავარიანის და სხვათა ნაღვაწის ფონზე დაწერილიყო პირველხარისხოვანი ლინგვისტური შრომები. მხოლოდ ელვარე ნიჭისა და უზარმაზარი ენერგიის, მეცნიერების სიყვარულით გულანთებულ კაცს შეეძლო ძალიან მოკლე დროში შეექმნა ასამდე გამოკვლევა და ათი მეცნიერული მონოგრაფია...“

*პროფ. კორნელი დანელია*
*„თბილისის უნივერსიტეტი“,*
*21 მაისი, 1993 წ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჯი
ეროვნებისა

BURJI EROVNEBISA

№9 (57)

2002

# შინაარსი

**ბ. ჯორბენაძე – 60**

ბესარიონ ჯორბენაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები ........ 2

**ბ. ჯორბენაძე,** არა აქტიური უსაქმურობა, არამედ... ........ 3

**ბ. ჯორბენაძე,** როგორი უნდა იყოს სტუდენტი ........ 3

ბესარიონ ჯორბენაძის უმთავრესი შრომები ........ 4

**მ. ტაბიძე,** სიტყვათა გზები? ........ 23

**სახელმწიფო ენა**

სამურზაყანოში ქართული უცხო ენად გამოაცხადესო ........ 6

**წინადადება**

**დ. ცინცაძე,** როდის დავიწყოთ სწავლა – სექტემბერში თუ ოქტომბერში? ........ 8

**პრობლემა**

**გ. გოგოლაშვილი,** მისაღები გამოცდების „სეზონური" პრობლემები ........ 9

**კონტაქტები**

**რ. ენუქაშვილი,** მინდა უკეთეს საქართველოში ვიცხოვროთ ........ 12

**ტ. სიხარულიძე,** პეტრე უსლარის სოციოლინგვისტური შეხედულებანი ........ 14

**თვალსაზრისი**

**გ. თოფურია,** აკაკი შანიძის უცნობი წერილები ........ 17

**პ. ქურდაძე,** „გრდემლი ტყვიისა ლბილისა" დაფარული სიბრძნის გაგებისათვის ........ 18

**ჩვენი ენა ქართული**

**ნ. ოთინაშვილი,** წარწერებს, ტოპონიმებს იურიდიული დაცვა სჭირდებათ ........ 22



უმთავრესი
ბურჯი
ეროვნებისა
გახლავთ
სამშობლო ენა.
ილია

გამოდის
თვეში ერთხელ

ფასი 1 ლარი

გარეკანზე ფოტოეტიუდები: „მე სკოლაში დავდივარ!", „მეც მინდა სკოლაში!"

# ბესარიონ ჯორბენაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები



**1942 წლის 31 აგვისტოს** დაიბადა ქ. თბილისში.

**1949 წ.** შევიდა თბილისის I საშუალო სკოლაში.

**1959 წ.** ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

**1962 წ.** სტუდენტთა გაცვლის წესით გაიგზავნა რიგის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

**1964 წ.** წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი.

**1964-1968 წ.** არის თსუ ახალი ქართული ენის კათედრის ასპირანტი.

**1968 წლიდან** კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

**1969-1973 წ.** თსუ ტოპონიმიკის ლაბორატორიის გამგეა.

**1973-1976 წ.** არის თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

**1973-1981 წ.** თსუ ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტი.

**1981-1993 წ.** თსუ ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორი.

**1970 წ.** დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

**1979 წ.** დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

**1983 წ.** არის საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

**1982-1985 წ.** ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების გამგეა

**1985-1987 წ.** თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანია.

**1987 წლის ნოემბრიდან** იყო არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინტიტუტის დირექტორი.

**1988 წ.** არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

**1993 წ. 4 მაისს** ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად წარადგინა მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვაკანტურ ადგილზე.

**1993 წ. 10 მაისს გარდაიცვალა...**

**1975 წ.** გამოსცა პირველი მონოგრაფია — „ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში".

**1993 წ-ის** — მაისში იხილა მეათე წიგნის — „ონომასტიკური გულანი" — სასიგნალო ცალი.

**1999 წ.** გამოიცა მეთხუთმეტე წიგნი — „პოეზიის ენა".

**1988-1993** წლებში ხელმძღვანელობდა მისივე ინიციატივით შექმნილ „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის" შემმუშავებელ სამთავრობო კომისიას.

**1978 წლიდან** თსუ-ში მისი ინიციატივით შემოღებულ იქნა სპეცკურსები „ქართული ზმნა" და „ქართული ენა და ეროვნული კულტურა" (თავადვე უძღვებოდა).

**1996 წ.** მიენიჭა აკაკი შანიძის სახელობის პრემია მონოგრაფიისათვის „ქართული დიალექტოლოგია".

**სხვადასხვა დროს იყო**

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; ენათმეცნიერების ინსტიტუტთან არსებული სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; თსუ სამეცნეირო-საატესტაციო საბჭოს სწავლული მდივანი; მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული იბერიულ-კავკასიურ ენათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: თსუ-ს ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კომისიის თავმჯდომარე მუდმივმოქმედი სემინარის „საენათმეცნიერო საუბრების" გამგეობის თავმჯდომარე: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების" მთავარი რედაქტორი, ჟურნალ „მაცნეს" (ენისა და ლიტერატურის სერია) მთავარი რედაქტორის მოადგილე...

მისი ხელმძღვანელობით მომზადდა 20-მდე ასპირანტი, მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა 15-მა. იყო სადოქტორო დისერტაციების კონსულტანტი...

რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს ლექსები, მოთხრობები...

# არა აქტიური უსაქმურობა, არამედ...



ჩემთვის ნებისმიერი თანამდებობა, მათ შორის კათედრის გამგეობაც, არასდროს არ ყოფილა მიზანი (თვითმიზანიო, ახლა იტყვიან). თანამდებობა მხოლოდ საშუალებაა მიზნის მისაღწევად. ეს მიზანი კი ძალზე დიდია — ქართული ენის კათედრა უნდა იდგეს სათანადო დონეზე როგორც მეცნიერული, ასევე მოქალაქეობრივი თვალსაზრისით.

ახლა ისე აეწყო ვითარება, რომ მხოლოდ გარკვეული თანამდებობრივი სტატუსი აძლევს პიროვნებას საშუალებას ასე თუ ისე თავისუფლად განახორციელოს ის, რაც მის მიზანს შეადგენს.

თუ მიზანი ვიწრო-პიროვნულია, ცუდია, დასაგმობია, მაგრამ თუ იგი საერთო საქმეს ემსახურება, პიროვნება არ უნდა დავგმოთ, რომ იგი არ იჩენს ყალბ მოკრძალებას და გრძნობს ძალას ამ მიზნის განსახორციელებლად.

თვით მე წინააღმდეგი ვარ „ცენტრალიზებული" ხელმძღვანელობისა, ამიტომაც იყო, რომ, როგორც კი დამნიშნეს ქართველურ ენათა განყოფილების გამგედ, მოვითხოვე და შევქმენი ცალკე ჯგუფები დიალექტოლოგიის, მეგრულ-ჭანური და სვანური ენების, ქართული ენის შესწავლის ისტორიის... ჯგუფის ხელმძღვანელები ჩემ წინაშე კი არ იყვნენ ანგარიშვალდებულნი, არამედ განყოფილების სხდომის წინაშე და სხდომის ყოველი გადაწყვეტილება კანონის ძალას იძენდა. მერე კი მე ჩემს თავს უფლებას ვაძლევდი განყოფილების თითოეული წევრისთვის მომეთხოვა დადგენილების ასრულება. აქ კომპრომისი მე არ ვიცი, არც სენტიმენტები მწამს.

ამის გამო ბევრს არ ვეხატები გულზე. ზოგი ამაში კარიერისკენ მისწრაფებას ხედავს, კარიერისტს მეძახის (ზურგს უკან). ეს აბსურდია! რადგან კარგად ვიცი ამჟამად კარიერის მისაღწევად უფრო მომგებიანია აქტიური უსაქმურობა, ვინემ საქმიანობა. პირველ შემთხვევაში ყველა კმაყოფილია — უფროსიც და ხელქვეითიც, საქმე კი არ კეთდება. მეორე შემთხვევაში ხშირია დაპირისპირება, მაგრამ საქმე ასე თუ ისე წინ მიდის მაინც.

მე მეორე გზას ვირჩევ!

დღევანდელ კათედრა „ნომერ პირველი" კათედრაა ნებისმიერ ეროვნულ უნივერსიტეტში — ეროვნულობის ქომაგი და განმახორციელებელი. სამწუხაროა, რომ ამ დროს პიროვნებათა დაპირისპირებას იმ თვალთახედვით უყურებენ, თითქოს საყვარელზე მოცილე ორ ვინმეს ჭორავდნენ.

აქ გამორიცხული უნდა იყოს სენტიმენტები. პატრიარქალური მამაშვილობა ზიანის მეტს არაფერს მოიტანს.

ეს ბრძოლაა და ამ ბრძოლას ვიღაც ეწირება.

უნდა შეეწიროს უფრო სუსტი, ზურგს უკან საქმის ჩამშხობებმა თავისი შავი საქმე თუ არ გააკეთეს — ცოცხალი აზრი თუ არ მოკლეს მიპარვით, ქურდულად, ლაჩრულად.

მე არავის ვეფერები, მუშაობა ძნელი და რთული იქნება. ამას მოითხოვს საქმე. საქმე საპატიო და საპასუხისმგებლო.

ბესარიონ ჯორბენაძე
1984 წელი, 26 მაისი.

# როგორი უნდა იყოს სტუდენტი

1. უნდა იყოს შინაგანად პატიოსანი (რაც, საერთოდ, ყველა ადამიანისთვის სავალდებულოა);

2. უნდა სწამდეს თავისი სპეციალობისა — ე. ი. უნდა ჰქონდეს რწმენა იმისა, რომ იგი ყველაზე უკეთ სწორედ ამ სპეციალობაში შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას.

3. უნდა ჰქონდეს შინაგანი ძალა გაუმკლავდეს ცდუნებას წამიერი წარმატების მოპოვებისა;

4. სტუდენტი უნდა ცდილობდეს აზრი დაამკვიდროს სათანადო არგუმენტაციით და არა დაჟინებით;

5. სტუდენტმა უნდა ერთმანეთს შეუხამოს მეცნიერული ტრადიციების პატივისცემა და სიახლისაკენ სწრაფვა.

6. მას უნდა ჰქონდეს შინაგანი კულტურა და დისციპლინა.

7. პატივს უნდა სცემდეს სხვის აზრს და საერთოდ სხვა პიროვნებას (თუნდაც არ ეთანხმებოდეს მას).

8. ჰქონდეს იმის შეგნება, რომ მხოლოდ თავისი ერის სამსახური გამოარჩენს მას.

9. უნდა ესწრაფვოდეს საქმეს და არა სახელს.

10. უნდა ჰქონდეს საკუთარი თვალით ყველაფრის დანახვის სურვილი.

1986 წ. 1 სექტემბერი

22490


ბესარიონ
ჯორბენაძის
უმთავრესი
შრომები


ბ. ა. ჯორბენაძე
ზმნის გვარის
ფორმათა წარმოებისა და
ფუნქციის საკითხები
ქართულში
1975


ბესარიონ ჯორბენაძე
ქართული ზმნის
ფორმობრივი და
ფუნქციური ანალიზის
პრინციპები
1980


ბესარიონ ჯორბენაძე
ზმნის
ხმოვანპრეფიქსული წარმოება
ქართულში
1983


ქართული ენის
ფაკულტატიური გრამატიკის
საკითხები
1985


ГРУЗИНСКИЙ
ГЛАГОЛ
1986


ბესარიონ ჯორბენაძე
1987


1988


ბესარიონ ჯორბენაძე
I
1989




1991




1993




1995




1995



1997




1998



1999

ბესარიონ ჯორბენაძე მაღალკვალიფიციური სპეციალისტია, ექვსი მონოგრაფიის ავტორი. ცხადია, ამ შემთხვევაში რაოდენობა არაა მათი ღირსების განმსაზღვრელი. მისი ნაშრომები გამოირჩევა საკითხისადმი ორიგინალური, ახლებური მიდგომით... და, რაც მეტად დასაფასებელია, გამახვილებული აქვს მეცნიერებაში სიახლისა და პერსპექტივის გრძნობა, ამავე დროს სათანადოდ აფასებს ტრადიციასაც.

აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე
„კომუნისტი", 1988წ. 14 აპრილი

# სამურზაყანოში ქართული უცხო ენად გამოაცხადეს

**თამაზ ხმალაძე:** ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ კვლავ მთელი სიმწვავით დგას სამურზაყანოში - გალის რაიონების სკოლებში ქართული ენის სწავლების, საერთოდ, ქართულ ენაზე სწავლების საკითხი. გასულ წელს რამდენიმე სიუჟეტი მივუძღვენით ამ თემას. ერთ-ერთ გადაცემაში მოწვეული გვყავდა ჟურნალ „ბურჯი ეროვნებისას" გამომცემელი და მთავარი რედაქტორი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი. ბატონი გიორგი დღეს კვლავაც ჩვენი სტუმარია. მოდით, ბატონო გიორგი, გავიხსენოთ, რა პრობლემაზე ვსაუბრობდით შარშან და ვნახოთ, რა ვითარებაა დღეს.

**გიორგი გოგოლაშვილი:** გასული წლის ზაფხულში გავრცელდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ოფიციალური სოხუმი წინააღმდეგი იყო გალის რაიონის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლებისა. სოხუმის განათლების სამინისტრო, ასე ვთქვათ, კეთილ ნებას იჩენდა და აცხადებდა რომ არ იყო წინააღმდეგი გალის რაიონის სკოლებში ქართველ ბავშვებს ესწავლათ ქართული ენა და ლიტერატურა ქართულ ენაზე, მაგრამ, საერთოდ, სწავლების ენა რუსული უნდა ყოფილიყო.

**თ. ხ.** გავიხსენოთ ისიც, რომ მაშინ, საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი, ბატონი მალხაზ კაკაბაძე შეხვდა სოხუმის განათლების მინისტრს ბესლან დბარს, მაგრამ ამ შეხვედრამ შედეგი არ გამოიღო. დაიწერა, რომ „გალის სკოლებში რუსულ ენაზე სწავლების ქართულით შეცვლა დაუშვებლად მიიჩნია ოფიციალურმა სოხუმმა". ითქვა ისიც, რომ ადრე ცნობილი „ბოევიკი", ამჟამად გალის რაიონის განათლების განყოფილების გამგე მზია აგუმავა მკაცრად ადევნებს თვალს და ყოველგვარი „დარღვევის" გამოვლენის შემთხვევაში, დაუნდობლად უსწორდება „დამრღვევს".

**გ. გ.** იგულისხმება, რომ „დამრღვევი" არის ის ქართველი მასწავლებელი, რომელიც ქართველი ბავშვის განათლებას ქართულად მოისურვებს... აგერ, ერთ ადგილს ჩავიკითხავ გასული წლის სექტემბრის „კვირის პალიტრის" პუბლიკაციიდან: „იმ სკოლებში, სადაც რუსულ ენაზე მიმდინარეობს სწავლება, მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც მეტად რთულ მდგომარეობაში ხვდებიან. მათ არ მოეპოვებათ სათანადო სახელმძღვანელოები და პედაგოგს სახელდახელოდ უწევს ამა თუ იმ გაკვეთილის ქართულიდან რუსულად თარგმნა. მოსწავლე ვერ გებულობს საყველპურო რუსულით ახსნილ გაკვეთილს, აქ შველად და ხსნად მეგრული ენა ევლინებათ. ისე რომ, აფხაზურ და რუსულ ენებზე მეტად, აფხაზურ სკოლებში მეგრული ჭრის" („კვირის პალიტრა", №37, 2001). ეს რა შედეგს მოგვიტანს, ნათელია.

**თ. ხ.** შედეგებზე როცა ვსაუბრობთ, ცხადია, ვგულისხმობთ განათლების დონესაც და პოლიტიკურ შედეგებსაც.

**გ. გ.** ცხადია, ბატონო თამაზ, ყოველი ნაბიჯი გათვლილია. ის აფხაზი, ქართველს ქართულ ენაზე სწავლებას რომ უშლის და მეგრულს წაუყრუებს, ხომ ნათელია, რატომ იქცევა ასე. გავიხსენოთ რუსული იმპერიული ენობრივი (თუ ეროვნული) პოლიტიკის ერთი ფაქტი: ამბობდნენ და ამბობენ, წერდნენ და წერენ: აფხაზეთში ცხოვრობენ ქართველები, მეგრელები, სვანები და სხვა. გალელ ქართველებს ეუბნებიან: ქართველები არიან ჩვენი მტრები, თორემ, მეგრელებთან რა გვაქვს გასაყოფი... არ აძლევთ ხელს მათ მეგრელთა ქართველობა...

**თ. ხ.** მეტად მძიმე პრობლემაა, ბატონო გიორგი, მაგრამ, ამჯერად ჩვენს მიერ დასმულ საკითხს რომ არ მოვწყდეთ, ისევ სწავლების ენას დავუბრუნდეთ. რა შეიცვალა ამ ერთი წლის მანძილზე? არის თუ არა სასიკეთო ძვრები ამ სფეროში?

**გ. გ.** გახსოვთ, ბატონო თამაზ, იმ თქვენს გადაცემებში ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მუშაკმა გვისაყვედურა კიდეც, ასეთ საკითხებს ხმამაღლა საუბარი არ სჭირდება. კი, ბატონო, ჩვენ არ ვისაუბრებთ ხმამაღლა, მაგრამ საქმე თუ კეთდება ასე ვთქვათ, „ხმადაბლა"? მოგვარდა ან გვარდება ეს საქმე? ახლახან, ისევ გაზეთ „კვირის პალიტრაში", ასეთი ინფორმაცია გაჩნდა: „კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება გალის რაიონის სკოლებში მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, ქართული ენისა და ლიტერატურის სრულფასოვანი სწავლების საქმე. გალის რაიონში ათასობით ქართველი ბავშვია, სკოლებში კი სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობს და ქართულ ენას უცხო ენის კვალიფიკაცია აქვს მინიჭებული. არადა, ახლოვდება სექტემბერი, პრობლემა კი ჰაერშია გამოკიდებული" - („კვირის პალიტრა", №29, 2002).

**თ. ხ.** ეტყობა, მტერი (დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი) გეგმაზომიერად მუშაობს, გამიზნულად მოქმედებს.

**გ. გ.** ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ თავისი მიზნისაკენ; მიზანი კი ჩვენთვის სავალალოა: ათასობით ქართველ მოზარდს დედაენას აცლის ხელიდან. მან ძალიან კარგად იცის, რომ თუ ბავშვი მშობლიურ ენაზე არ აღიზარდა, არ იქნება ის ღირსეული ქართველი.

**თ. ხ.** არა მხოლოდ „ღირსეული ქართველი, ქართველი არ იქნება საერთოდ!" „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს" - ეს მარადიული შეგონება, მგონია, რომ არცერთი ერისა და ენის მიმართ არ ავლენს ისე თავის ჭეშმარი-

ტებას, როგორც ქართულისა და ქართველის მიმართ.

**ვ. ვ.** გეთანხმებით, ბატონო თამაზ. მაგალითისათვის ხოჭის მხარისა და ყიზლარ-მოზდოკის ქართველობის გახსენებაც იკმარებდა; აღარ იციან მათ ქართული, გვარებიღა შემორჩათ მამაპაპური, ესაა და ეს... რაც მთავარია, ცნობიერება დაკარგეს ქართული... აქეთ მიდის ის გზა აფხაზი სეპარატისტები რომ მიგვიძღვებიან.

**თ. ხ.** გახსოვთ, ალბათ, წელს ქართველი პარტიზანები იმუქრებოდნენ, გალში თუ არ აღდგება სწავლება ქართულ ენაზე, დავწვავთო სკოლებს. მაშინ ვთქვით და ახლაც ვიმეორებ: ეს არ არის პრობლემის მოგვარების გზა მაგრამ რა კეთდება იმისათვის, რომ ასე არ დაისვას საკითხი?

**ვ. ვ.** წაყრუებამ და „იმას არ ეწყინოს“ - პოლიტიკამ მრავალჯერ დაგვღუპა და ახლაც ეს დღე გველის.

**თ. ხ.** მოკლედ, რა ეშველება ამ საქმეს? თქვენი აზრით, არის კი გამოსავალი?

**ვ. ვ.** რომ ვთქვათ, აფხაზეთის დაბრუნების შემდეგ მოგვარდება საქმეო, სწორი იქნება, მაგრამ, შეიძლება, მაშინ უკვე ძალიან გვიან იყოს... აფხაზეთის დაბრუნება არ ჩანს უახლოესი მომავლის ამბავი. არადა, ისეთი ტემპით მიდის განათლების სისტემაში რუსული ენის დამკვიდრება, მერე, ქართულ ენაზე სკოლების გადაყვანა, შეიძლება აღარც მოხერხდეს.

**თ. ხ.** ამ შემთხვევაშიც, ალბათ, საერთაშორისო საზოგადოების ჩარევაა საჭირო, იქნებ, როგორმე, მათმა ძალისხმევამ დაარღვიოს არასასურველი პროცესის განვითარება, ხელი შეუწყოს ქართველთა სურვილს, რომ ქართველმა ბავშვმა შეძლოს მშობლიურ ენაზე განათლების მიღება.

**ვ. ვ.** ბატონო თამაზ, თქვენ საერთაშორისო საზოგადოებები ახსენეთ. რა კეთდება იმისათვის, რომ ეს ამბავი მათ ყურამდე მიაღწიოს? პირადად მე, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ, პირიქით, ვცდილობთ, ეს არავინ გაიგოს.

**თ. ხ.** ამიტომ გვითხრა იმ ჩინოვნიკმა, ასეთ თემებზე ხმამაღლა არ საუბრობენო?

**ვ. ვ.** ეგ ერთი. მოდი, ასეთი ფაქტიც გავიხსენოთ - დაიწერა ამის თაობაზე. ჩავიკითხავ ამონაწერს: „ეს მოხდა 1994 წელს. სამშვიდობო ძალები აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩააყენეს და მათი ერთი ნაწილი თაგილონის ერთ-ერთ სკოლაში დაბანაკდა. ამ ნაწილის მეთაურმა სკოლის ბიბლიოთეკაში ქართული წიგნები აღმოაჩინა და იკითხა: „ეს გაუგებარ ენაზე დაწერილი წიგნები რას წარმოადგენსო“. ქართული სახელმძღვანელოებიაო, განუმარტეს - ამ ენაზე მიმდინარეობსო სწავლა. რუსი სამხედრო პასუხით უკმაყოფილო დარჩა და, ასე არ უნდაო, ეგზეკუციონერივით ხერხს მიმართა. თავის ჯარისკაცებს სკოლის ეზოში გამოატანინა ყველა სახელმძღვანელო, ბენზინი გადაასხა, ცეცხლი წაუკიდა და ნასიამოვნებმა დაამატა: აი, ასე მოგიხდებათ თქვენო“ (გვ. პალიტრა, №97, 2001).

**თ. ხ.** ასეთ ფაქტზე იტყვიან, კომენტარი ზედმეტიაო,

საქართველოს მთავარი რადიო ლიტერატურული პროგრამა „ენაჲ შემკული და კურთხეული“ 2002 წლის 10 აგვისტო

მაგრამ უკომენტარობა რა შედეგს მოგვიტანს? ამ ფაქტის გამო ვინმე დაისაჯა, ვინმემ ვინმეს საყვედური უთხრა? არა მგონია.

**ვ. ვ.** მეტიც, ამგვარ ფაქტებს საგულდაგულოდ ვჩქმალავთ. მიაქციეთ ყურადღება: სხვა ჭირი არ შეიძლება არსებობდეს, რომ წიგნის დაწვა შეუწყნარებელია, რა წიგნიც უნდა იყოს ის. როცა ბასილ მკალავიშვილის მრევლმა იეღოველთა ლიტერატურა გაანადგურა, თავისუფლების ინსტიტუტმა და მსგავსმა ორგანიზაციებმა ერთი ამბავი ატეხეს და ულტიმატუმიც კი წაუყენეს ხელისუფლებას უცხოელმა დემოკრატებმა, ალაგმეთ მკალავიშვილი და მისი მრევლიო. კი, ბატონო, დაამავეს, რომ დაწვეს ის ლიტერატურა, სამართალდამცველებს უნდა ჩამოერთმიათ მათთვის, ვინც ამის საშუალებით მართლმადიდებლური სარწმუნოების შევიწროებას ცდილობდა. ოფიციალურმა ხელისუფლებამ არ გააკეთა ეს და ინიციატივა კერძო ჯგუფმა აიღო.

**თ. ხ.** ეს იგივეა, პარტიზანები რომ სკოლების დაწვით იმუქრებოდნენ, თუ ხელისუფლება არ მიიღებს ზომებსო...

**ვ. ვ.** დიახ, გეთანხმებით. მაგრამ მე სხვა კითხვა მაწუხებს. სახალხო დამცველს, იმ ჩვენს დემოკრატიულ ინსტიტუტებსა თუ უცხოელ გულშემატკივრებს რატომ აწუხებთ ასე, თუნდაც, იეღოველთა ინტერესების შელახვა და არ აღარდებთ ქართულ მიწაზე ქართველთა უფლებების ფეხქვეშ გათელვა.

**თ. ხ.** მეტიც: ჩვენდა საუბედუროდ, დღევანდელ აფხაზეთში ქართველობა ეროვნული უმცირესობაა. მათ არ ეძლევათ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება. ადამიანის უფლებების შელახვა კი, ამაზე მეტი, კიდევ რა არის? თუ მსოფლიოს გააგებინეს, მკალავიშვილის მრევლი იეღოველთა უფლებებს ლახავსო, ამის თაობაზე რატომ არ იღებენ ხმას?

**ვ. ვ.** ამ პარალელებში საგულისხმო ის არის, რომ ქართული ენა, ქართველთა ეროვნული პრობლემები არავის აღარდებს. შინაურიც და გარეულიც (მე ის შინაურები მყავს მხედველობაში, ვისზეც ზემოთ ვისაუბრეთ) რაღაც სხვა მიზნებს ემსახურებიან.

**თ. ხ.** გეთანხმებით; ეს რომ ქართული ინტერესების სამსახური არ არის, ფაქტია, ამიტომ ვერ ვენდობი მათ, მაგრამ საქმეს მაინც რა ეშველება?

**ვ. ვ.** ჩვენ კიდევ ერთხელ შემოვკრათ განგაშის ზარი, იქნებ ვინმემ იდოს ყურად, იქნებ ეშველოს რამე წამხდარ საქმეს.

**თ. ხ.** იქნებ საქართველოს ძირძველ კუთხეში, სამურზაყანოში ქართული ენა არ გამოაცხადონ უცხო ენად, იქნებ ეშველოს გალელ ბავშვებს და მისცენ მათ მშობლიურ ენაზე სწავლის უფლება.



დურმიშხან ცინცაძე

# როდის დავიწყოთ სწავლა — სექტემბერში თუ ოქტომბერში?

დღეს ჩვენში გამოკითხვა რომ ჩაატარო, როდის უნდა დაიწყოს სწავლა საქართველოშიო, უმრავლესობა გიპასუხებს: რა თქმა უნდა, პირველ სექტემბერს! ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ იმ დროის ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, როდესაც ყველაზე დიდი დღესასწაული იყო 1 მაისი და 7 ნოემბერი, ხოლო შობა და აღდგომა — მივიწყებული.

ჩემი აზრით, სწავლა საქართველოში 1 სექტემბერს არ უნდა დაიწყოს. რატომ? აქვე განვმარტავთ.

XV-XVIII საუკუნეებში, ქართული სკოლები ჩვენში კერძო პირთა თაოსნობით არსებობდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კი საქართველოში სახელმწიფო სკოლებიც დაარსდა: ჯერ თბილისში — 1755 წელს და მერე, თელავში — 1782 წელს. მათი სასწავლო გეგმები რუსეთიდან კი გადმოღებული. სემინარიაში საეკლესიო საგნების გარდა, ასწავლიდნენ: გრამატიკას, რიტორიკას, ლოგიკას, მეტაფიზიკას, ფიზიკას, ზნეობით ფილოსოფიას.

რუსეთში სასკოლო განათლებას საფუძველი 1701 წელს პეტრე პირველმა ჩაუყარა. 1697 წელს მან იმოგზაურა ჰოლანდიაში, ინგლისში და ავსტრიაში. გაეცნო ამ ქვეყნების განათლების სისტემას, მიუსადაგა რუსეთს და თავის მიერ შექმნილ იმპერიაში სასკოლო განათლება შემოიღო. პეტრე პირველის ეპოქის სკოლებში მეცადინეობა პირველ სექტემბერს იწყებოდა. რუსეთში დღესაც ასეა.

საქართველოში 1 სექტემბერს სწავლის დაწყება გაიოზ რექტორს მიეწერება თელავის სემინარიაში. მან 1778 წელს დაამთავრა მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემია. 1782 წლიდან თავისივე ინიციატივით გახსნილი თელავის სემინარიის რექტორია. 1783 წელს იგი კვლავ რუსეთში, ქალაქ ასტრახანში გადასახლდა, სადაც მთავარეპისკოპოსი იყო. გარდაიცვალა 1821 წელს ასტრახანში და იქვე დაკრძალეს.

საქართველოში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ, განათლების დარგი მთლიანად რუსულად გარდაიქმნა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს განათლების სისტემა, ისევე როგორც სადაბრიკო ინსპექცია, რუსეთის თორმეტ გუბერნიასთან ერთად, ხარკოვის ოკრუგს დაექვემდებარა. მთელი ამ ხნის საარქივო დოკუმენტები, ვიდრე რომანოვების დინასტიის დაცემამდე, ე. ი. 1917 წლამდე, საქართველოს განათლებისა და სადაბრიკო-საქარხნო მრეწველობის შესახებ დღესაც ინახება კიევში, უკრაინის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდში, რომელსაც დეტალურად გავეცანი 1965-72 წლებში. საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ, რა თქმა უნდა, განათლების სისტემა მოსკოვიდან იმართებოდა. არავინ არ აქცევდა ყურადღებას რესპუბლიკების ბუნებრივ პირობებს.. გეოგრაფიულ სარტყელს, რაც თავისთავად საქმისადმი არაკომპეტენტური მიდგომის ბრალი იყო. ვლადივოსტოკსა თუ ვორონეჟში, ნორილსკსა თუ ნალჩიკში, კიევსა თუ კიროვაბადში, მოსკოვსა თუ მახაჩკალაში, თბილისსა თუ ალმაატაში, ტაშკენტსა თუ ერევანში, ყველგან ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე, სწავლა, ერთსა და იმავე დროს, 1 სექტემბერს იწყებოდა.

ახლა ავხსნათ რუსეთში რატომ იწყებოდა სწავლა 1 სექტემბერს და რა გამართლება ჰქონდა მას. რუსებმა სწორად მიაგნეს სწავლის დაწყების თარიღს, რაც მათ კლიმატსა და ბუნებრივ პირობებს კარგად ესადაგება. რუსეთში იქაურ მეურნეს სექტემბრისთვის უკვე დაბინავებული ჰქონდა სარჩო-საბადებელი და გამოსაზამთრებლად ყოველნაირად მზად იყო. ჩვენში კი სულ სხვა მდგომარეობაა. ქართველი კაცის რთველი, ე. ი. სარჩო-საბადებლის დაბინავება ხომ ძირითადად, სექტემბერში იწყება?

გავიხსენოთ: საბჭოთა ხელისუფლების დროს ყველა სასწავლებელში სექტემბერს შრომის თვედ აცხადებდნენ. მაშინდელი ქართველი მოსწავლეები თუ სტუდენტები რთველში მონაწილეობდნენ და, რეალურად, სწავლა სექტემბრის ნაცვლად, ოქტომბერში იწყებოდა. სხვათა შორის, სექტემბერში დასასვენებლად მთაც კარგია და ზღვაც, კლიმატი ყველგან ზომიერი, რბილი და ხავერდოვანია. ყოველივეს გათვალისწინებით, ჩვენ ვალდებულები ვართ, ქართველ მოსწავლეებს თუ სტუდენტობას შევუქმნათ სწავლის, შრომისა და დასვენების ნორმალური პირობები. ამისთვის აუცილებელია ერთხელ და სამუდამოდ გავაუქმოთ რუსეთის იმპერიის მიერ ჩვენში დიდი ხნის წინათ დაკანონებული საპირველსექტემბროდ სწავლის დაწყება და დავიწყოთ იგი 1 ოქტომბერს. სამაგიეროდ, სწავლის პროცესი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს ივნისის ბოლომდე. საზაფხულო არდადეგების დროს დადგინდეს ჩვენში ყველაზე ცხელი თვეები — ივლისი და აგვისტო. სექტემბერი კი, როგორც ვთქვით, ძირითადად, საოჯახო ბეღლის შესავსებად, მოსავლის დასაბინავებლად გამოვიყენოთ, თანაც ზომიერ კლიმატურ პირობებში, ვისაც ამის საშუალება გვაქვს, მთაში ან ზღვაზე დავისვენოთ.

ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა სიკეთის მეტს არაფერს მოუტანს ჩვენს ახალგაზრდობას.

**„საქართველოს რესპუბლიკა“**

გიორგი გოგოლაშვილი

# მისაღები გამოცდების „სეზონური" პრობლემები

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების „უმნიშვნელოვანეს" მოვლენად იქცა. გამორჩეულია მისადმი პრესისა თუ ტელევიზიისაც ინტერესი გამოცდებამდე და გამოცდების შემდეგაც; თუმცა არის არსებითი განსხვავებული დამოკიდებულება ამ პროცესისადმი სხვადასხვა ეტაპზე: გამოცდებამდე და გამოცდების პერიოდში ხდება რეკლამირება ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლისა: ჟურნალისტები ცდილობენ, უშუალოდ რექტორებისგან აიღონ ინტერვიუები; დაწვრილებით წარმოაჩინონ ყოველივე – როგორ მოემზადა უმაღლესი სასწავლებელი გამოცდებისთვის, რომ ღირსეულებს ელოდებიან სტუდენტებად, ყველაფერი კარგად იქნება და ა. შ. გამოცდების დროს კმაყოფილი სტუდენტებისა და მშობლების სახეებიც გადიან ეკრანზე, პრესის ფურცლებზე... დამთავრდება გამოცდები და უკვე იწყება განაწყენებულ აბიტურიენტთა და მათი მშობლების ქომაგობა, ლანძღვა-გინება უმაღლესი სასწავლებლებისა, გამომცდელებისა... ვიღაც თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის (ანდა კერძო ინტერესებისთვის) იყენებს ამ განაწყენებულებს და იწყება გაუთავებელი საჩივრები, ცილისწამებები, მუქარა... რამდენიმე თვეში ნაცხრება ვნებები და იწყება ფიქრი და მზადება მომავალი გამოცდებისთვის... სამწუხაროდ, ეს ტრადიციად იქცა... და ყოველწლიურად მეორდება ერთი და იგივე...

ასე ხდება წელსაც. ამ პროცესში მეტ-ნაკლები ინტენსიობით ერთვება სხვადასხვა გაზეთი, სატელევიზიო არხი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია. განსაკუთრებული დაინტერესება გამოიჩინა გაზეთმა „24 საათი" და ტელეკომპანიამ „რუსთავი – 2". ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, თუმცა ზოგი შენიშვნა საგაზეთო პუბლიკაციების მიმართ მაინც ჩნდება. მხედველობაში მაქვს ჟურნალისტ ეთერ მამულაშვილის წერილები. მკითხველს გაუჩნდება აღქმა იმისა, ეს არის ფიქრი ზოგადად უმაღლესი განათლების შესახებ, თუ კერძოდ ერთი სასწავლებლის პრობლემებზე. „უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების გაუქმება მოითხოვეს": „უნივერსიტეტის წინააღმდეგ ახალი სარჩელი მზადდება" – დღეს საქართველოში მრავალი უნივერსიტეტია, სახელმწიფოც და არასახელმწიფოც (ეს უკანასკნელი გაცილებით მეტია). წერილების შინაარსიდან გამომდინარე, საუბარი ძირითადად ეხება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, შემოკლებით თსუ-ს რომ ეძახიან (ზოგჯერ ეს აბრევიატურაც გამოჩნდება ალაგ-ალაგ)... ასეთ მნიშვნელოვან პრობლემაზე ასე მკვეთრად მსჯელობის შემთხვევაში სიზუსტეა საჭირო, რომ არ დავაბნიოთ მკითხველი... ღირსეულს რომ ლაფი არ ვესროლოთ და უღირსი უსაყვედუროდ არ დაგვრჩეს...

სიზუსტე სხვა შემთხვევაშიც ირღვევა, თუმცა ამას ამჯერად არ მივაქცევთ ყურადღებას. უფრო არსებითი სხვა რამ გვგონია. შევეცდებით იმ პრობლემებზე გავამახვილოთ ყურადღება, რომლებიც პრესაში თუ ტელეგადაცემებში დაისვა და, ჩემი აზრით (და არა მხოლოდ ჩემი აზრით), საშიშია მასზე მსჯელობა.

პრესაში გამოჩნდა ინფორმაცია განაწყენებულ პიროვნებათა კომიტეტის თაობაზე. გვაუწყებს, რომ შეიქმნა „თსუ-ზე განაწყენებულ მშობელთა და აბიტურიენტთა კომიტეტი", რომლის „მთავარი მოვალეობაა, უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტთა დარღვეული უფლებების აღდგენა": „შელახული უფლებების რეაბილიტაცია..." იკრიბებიან სახალხო დამცველის ოფისში და, ალბათ, სახალხო დამცველიც თანაუგრძნობს... რა შელახულ უფლებებზეა საუბარი? კარგ ბავშვს (მშობლის აზრია და უნდა დავეთანხმოთ) „მათემატიკის გამოცდაზე ცხრიანი დაუწერეს. ახლა სარჩელს ვამზადებ და იმედი მაქვს, რომ სამართალს აუცილებლად ვიპოვი." – წერს ერთ-ერთი „განაწყენებული". მათემატიკაში არაობიექტური შეფასების შემოწმება-გადამოწმებას სასამართლო რისთვის სჭირდება, რა ძნელი საქმე ესაა? ასეთი და მსგავსი შემთხვევების საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად ქცევა უხერხული ხომ არ არის? ანდა რას ნიშნავს: „კომიტეტი მოითხოვს ყველა ჩაჭრილი თუ ქულადაკლებული აბიტურიენტის [illegible] საბიუჯეტო (ე. ი. „უფასო" – გ. გ.) განყოფილებაზე ჩარიცხვას". იმას კი არ ამბობენ, არაობიექტურად გამოცდეს და ჩაჭრესო: ჩაიჭრა, მაგრამ მაინც ჩარიცხეთ საბიუჯეტო განყოფილებაზეო. რა ლოგიკაა, ამ პრეტენზიის მქონე აბიტურიენტი რატომ იღებდა მონაწილეობას კონკურსში? ხომ იცოდა, თუ

ჩაიჭრებოდა, ვერ ჩაირიცხებოდა? თავიდანვე მოეთხოვა, პირდაპირ ჩამირიცხეო? ძალზე სამწუხაროა ისაა, რომ ნაკარნახევი მოთხოვნაა: და უკარნახეს იმათ, ვისაც უმაღლეს სასწავლებლებში მშვიდი სიტუაცია არ აძლევს ხელს...

და ერთი საგულისხმო ფაქტიც: ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წელს ბიუჯეტით დაფინანსებულ ვაკანტურ ადგილებზე კონკურსში მონაწილეობა მიიღო 3787- მა აბიტურიენტმა; მათგან ჩაირიცხა 1883 სტუდენტი („საქართველოს რესპუბლიკა", №196, 2002 წ.): 1904 აბიტურიენტი ვერ მოხვდა ე. წ. უფასო განყოფილებაზე; ე. ი. იმ ტერმინოლოგიით რომ ვიმსჯელოთ, აღმოჩნდა „განაწყენებული"! როგორც გვაცნობეს, ახლად შექმნილ „განაწყენებულ მშობელთა და აბიტურიენტთა კომიტეტში" „ჯეროვნობით მხოლოდ ოცამდე ადამიანია გაერთიანებული"; თუ ასეა, საქმე თსუ-ში ძალიან კარგად ყოფილა: დაახლოებით 6000 განაწყენებული მშობლიდან და აბიტურიენტიდან (1904 აბიტურიენტს მიუმატეთ ორი ამდენი მშობელი) მხოლოდ „ოცამდე ადამიანი" გაწევრიანდა იმ კომიტეტში. ამგვარი სტატისტიკა არა მგონია ატეხილი განგაშის საფუძველს იძლეოდეს...

კითხვა, ცხადია, რჩება: შეილახა თუ არა იმ აბიტურიენტების უფლებები, რომლებიც ვერ მოხვდნენ საბიუჯეტო განყოფილებაზე. მათ ხომ წინასწარ იცოდნენ ის პირობები, რასაც სასწავლებელი მომავალ აბიტურიენტებს უყენებდა; ხომ წინასწარ იცოდნენ, თუ ჩაიჭრებოდნენ, ახლა ვერ დააგროვებდნენ საჭირო ქულებს, ვერ გახდებოდნენ სტუდენტები? თავიდან ხომ იყვნენ თანახმანი ამ პირობაზე? გამოცდების შემდეგ ეს პირობები შეცვალა ვინმემ? რას გულისხმობს ამ შემთხვევაში აბიტურიენტის შელახული უფლებები?.. ძნელი გასააზრებელია...

არც იმ გამოსავლის ლოგიკაა ჩვენთვის ნათელი, რომელსაც ანტიკორუფციული საბჭოს წევრი ბატონი გ. თევზაძე გვთავაზობს: „ის, ვინც წელს უნივერსიტეტში საბუთები შეიტანა, ყველა უნდა ჩაირიცხოს და პირველი სემესტრის გამოცდების შედეგების მიხედვით მოხდეს სტუდენტების ფასიან და უფასო სექტორზე გადანაწილება". რატომ უნდა ჩაირიცხოს ჩაჭრილი და ქულებდაკლებული აბიტურიენტი? ვიმეორებთ, რა პირობა დაარღვია უნივერსიტეტმა, რომ იმის საფასურად ამ დათმობაზე წავიდეს? ანდა რას ნიშნავს ასეთი მუქარა: „ეს თავიდან აგვაცილებს სტუდენტების (უნდა იყოს აბიტურიენტების - გ. გ.) მხრიდან ქუჩაში მისალოდნელ გამოსვლებს, რას შესახებაც ბოლო ერთი კვირაა საუბრობენ". სხვათაშორის ეს ნაკარნახევი აზრი შემდეგ „განაწყენებულთა კომიტეტის" წევრებმაც გაიმეორეს: „გვეყო, რასაც აქამდე ვითმენდით, სექტემბერში უკვე ქუჩაში გამოვალთ და სახელმწიფო კანცელარიის წინ შიმშილობას გამოვაცხადებთ". ჯერ ერთი, რას ითმენდნენ აქამდე და რას ითხოვენ ამის შემდეგ? არ ვიცით. მაგრამ მაინც ჩამრიცხეთ სტუდენტადო? შეიძლება აბიტურიენტს არ გაემტყუნოს ამის მოთხოვნა (ის ყველაფერს აკეთებს, სტუდენტი რომ გახდეს), მაგრამ მე ამ აზრის მხარდაჭერაში ლოგიკას ვერ ვხედავ იმათი მხრიდან, ვისაც ქვეყანამ უაღრესად დიდი და საპასუხისმგებლო საქმე დააკისრა... რადგან საქმეში ანტიკორუფციული საბჭოს წევრები ჩაერივნენ ასე აქტიურად, ცხადია, ეს მოძრაობა ანტიკორუფციულ მიზნებს ისახავს. საგაზეთო წერილის სათაურიც ამაზე მიანიშნებს: „ანტიკორუფციული საბჭოს წევრები გამოცდების გაუქმებას მოითხოვენ". პუბლიკაციიდან მთლად ნათლად არ ჩანს, ეს საერთოდ ანტიკორუფციული საბჭოს აზრია, თუ მხოლოდ ბატონების გ. თარგამაძისა და გ. თევზაძისა. ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა, მაგრამ ეს ერთი მხარეა საკითხისა. ბატონი გ. თარგამაძე ბრძანებს: „მისაღები გამოცდების ის წესები, რომლებიც წლების მანძილზე უნივერსიტეტში არსებობს, შეურაცხმყოფელია. გარდა იმისა, რომ ის პირდაპირ არღვევს სტუდენტებისა და აბიტურიენტების უფლებებს, ეს წესები ხელს უწყობს უნივერსიტეტში გამეფებულ კორუფციას". ეს წესები რატომ არღვევს აბიტურიენტის უფლებებს, ზემოთაც ვთქვით, არ გვესმის, მაგრამ კორუფციის პრობლემა კი შეიძლება იდგეს. ცხადია, ანტიკორუფციულ საბჭოს

## ბ. ჯორბენაძე — 60



უფიქრია ამის თაობაზე. მაგრამ რას გვთავაზობენ კორუფციის დასაძლევად? : „ის ვინც წელს უნივერსიტეტში საბუთები შეიტანა, ყველა უნდა ჩაირიცხოს და პირველი სემესტრის გამოცდების შედეგების მიხედვით მოხდეს სტუდენტების ფასიან და უფასო სექტორებზე გადანაწილება", – ბრძანებს ბატონი გ. თევზაძე. ეს არის გამოსავალი? თუ ეჭვი იმისა, რომ მისაღებ გამოცდებზე ვიღაც ქრთამს იღებს, სემესტრულ ჩათვლასა თუ გამოცდაზე ის „ვიღაც" გამოსწორდება? კორუფცია სეზონური მოვლენა ხომ არ არის, ზაფხულის ნაცვლად შერჩევა ზამთარში მოვაწყოთ და კორუფციაც დაიძლევა!.. არც ეს აზრი მეჩვენება ლოგიკური.

ვთვლი, რომ მისაღები გამოცდები უმძიმესი ტვირთია ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლისთვის. არც იმას ვამტკიცებ, ყველაფერი წმინდად და უან-გაროდ კეთდება-მეთქი. ამდენ ათეულ თუ ასეულ უმაღლეს სასწავლებელში როცა ასეულობით გამომცდელი ათასობით აბიტურიენტს ხვდება, გულუბრყვილო უნდა იყოს კაცი, ამტკიცოს, ყველაფერი პატიოსნად კეთდება... მაგრამ სად არის გამოსავალი: რა გზებს ვხედავთ ამ სფეროში კორუფციის დასაძლევად? ანტიკორუფციული საბჭოს წევრები ორ გზას გვთავაზობენ:

პირველი, ეს გახლავთ აბიტურიენტთა უგამოცდოდ ჩარიცხვა და სემესტრულ გამოცდებზე შერჩევა: „სხვათა შორის აბიტურიენტთა უნივერსიტეტში უგამოცდოდ ჩარიცხვის პრეცედენტი საქართველოში უკვე არსებობს. იმერეთის მხარის რწმუნებულის, თემურ შაშიაშვილის, გადაწყვეტილებით ქუთაისში მისაღები გამოცდები უკვე რამდენიმე წელია არ




ტარდება. თარგამაძის თქმით, აბიტურიენტთა უნივერსიტეტში მიღების ასეთმა წესმა გაამართლა". არ ვიცი, რამდენად კარგად იცნობს ბატონი გ. თარგამაძე ქუთაისის ექსპერიმენტს, მაგრამ მე ვერ ვიტყვი, რომ ამ ექსპერიმენტმა გაამართლა. ვერ ვიტყვი, თუნდაც იმიტომ, რომ ა. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უგამოცდო მიღება ბოლო წლებში შეცვალეს, ასე ვთქვათ, ერთგამოცდიანი შერჩევით: სპეციალურ საგანში (მათემატიკოსები მათემატიკაში, ისტორიკოსები ისტორიაში და ა. შ.) აბარებენ ტესტირებულ გამოცდას და იმის მიხედვით ხდება შერჩევა საბიუჯეტო სექტორზე. არასაბიუჯეტო სექტორზე ეს მოთხოვნა არაა. ასე რომ, 1996 წელს შემოღებულმა უგამოცდო მიღების წესმა ასეთი ცვლილება განიცადა... ნუ შეგყავთ შეცდომაში მკითხველს...

ახლა სხვა კუთხით დავინახოთ ეს წესი. რომელ უმაღლეს სასწავლებელს აქვს შესაძლებლობა (შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თუ პედაგოგიური კადრები) მიიღოს და ასწავლოს ყველა მსურველს, უპირველესად აქ ე. წ. „პრესტიჟული" სპეციალობები გვაქვს მხედველობაში. მაგალითისთვის: იმის გამო, რომ საკმაოდ რთული და მძიმე გამოცდები ელით, თსუ-ში იურიდიულ ფაკულტეტზე ბოლო წლებში ერთ საკონკურსო ადგილზე დაახლოებით 4 კაცი მოდის – ისინი სხვებთან შედარებით უკეთესად მომზადებული ახალგაზრდები არიან. იურისტობის სხვა მსურველები სხვადასხვა უნივერსიტეტებსა თუ ინსტიტუტებში გადანაწილდება. ასეთები (როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო) ათობით თუ ასობითაა. ხომ ფაქტია, თუ მოიხსნება მისაღები გამოცდა, ყველა დედაუნივერსიტეტისკენ აიღებს გეზს. მით უმეტეს, რომ ამას წინათ ძალოვანმა სამინისტროებმა გამოაცხადეს, სამსახურში მხოლოდ თსუ-ს კურსდამთავრებულებს მივიღებთო...

არის მეორე, არანაკლებ მძიმე და დამაფიქრებელი ფაქტორი: ჩვენდა საუბედუროდ, ახალგაზრდა სერიოზულად სწავლობს მხოლოდ იმ საგნებს, რომელ საგნებშიც უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდები; სხვა საგნები მეორე თუ მეათეხარისხოვანი ხდება მოსწავლისთვის მას შემდეგ, რაც გამოიკვეთება მისი პროფესიული ორიენტაცია. მისაღები გამოცდა, ვიმეორებ, ჩვენდა საუბედუროდ, იძულებითი საშუალებაა იმისთვის, რომ უმეტეს შემთხვევაში აბიტურიენტი წიგნთან მივიყვანოთ. ვინც ჩვენს სკოლას კარგად იცნობს და ვინც ამ პრობლემასთან ახლოსაა, არ შეიძლება, არ დამეთანხმოს. აქედან გამომდინარე,

სანამ ჩვენი სკოლის პრობლემები არ მოგვარდება, სანამ საშუალო სკოლის ატესტატში შეტანილი ნიშანი არ იქნება სკოლადამთავრებულის ცოდნის დონის ობიექტური ამსახველი ნებისმიერ საგანში, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების გაუქმება მხოლოდდამხოლოდ უწიგნურობის ფართო მასშტაბით გავრცელებას შეუწყობს ხელს...

მეორე გზა: „ღამის კურიერში" ბატონმა გ. თევზაძემ სპეციალური სააგენტოს შესახებ ისაუბრა. ეს სააგენტო ტესტირების გზით მოახდენს აბიტურიენტთა საერთო მასის ცოდნის დონის შეფასებას, ასე ვთქვათ, გადაარჩევს და შემდგომ მათ გაანაწილებს რეიტინგის მიხედვით უმაღლეს სასწავლებლებში (მაპატიოს ბ-მა გ. თევზაძემ, თუ ზეპირად გამოთქმული ეს თვალსაზრისი ზუსტად ვერ გადმოვეცი): ეს თვალსაზრისი ალბათ გამოქვეყნდება წერილობით და მის ავ-კარგზე შემდეგ უფრო იოლი იქნება საუბარი. ცხადია, საინტერესო იდეაა (უცხოეთში აპრობირებული და დამკვიდრებული), მაგრამ ამ იდეის დამკვიდრების მექანიზმი მთლად ნათელი არ არის ჩემთვის, ამიტომ ვერას ვიტყვი. ერთი კი შეიძლება ითქვას: ქ-მა ეკა ხოფერიამ რომ ამ იდეის ავტორს კითხა, სააგენტოს შექმნა თუ გამორიცხავს კორუფციასო, უარყოფითი პასუხი მიიღო - ვერაო... მაშინ ამგვარი რეფორმის მიზანი რა არის?..

ასე რომ, ვიმეორებ, მისაღები გამოცდები ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელს მძიმე ტვირთად აწევს, მაგრამ ამ ტვირთის გადაგდება არა მგონია სასიკეთო იყოს ჩვენი საზოგადოებისთვის ამ ეტაპზე.

ცხადია, უნდა ვიფიქროთ და ვეძებოთ ოპტიმალური ვარიანტი, ნაკლებად მტკივნეული გამოსავალი ამ ვითარებიდან, და ეს ყველა ჩვენგანის ვალია, ჩვენი საზოგადოების ნებისმიერი წევრისა, რადგანაც უშუალოდ თუ არაუშუალოდ ყველას გვეხება ეს... და, რაც მთავარია, აზრი იმის თაობაზე, რომ განათლება გადაარჩენს ქვეყანას, ჭეშმარიტებაა და ამ ჭეშმარიტებისაკენ სავალი გზის ძიება, ვიმეორებ, ყველა ჩვენგანის ვალია.



# მინდა უკეთეს საქართველოში ვიცხოვროთ

**ივლისში თბილისში სტუმრად იმყოფებოდა ისრაელის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც იყო რეუვენ ენოხი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის დოცენტი რუბენ ენუქაშვილი, რომელიც უკვე ათი წელია ისრაელში ცხოვრობს. ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისათვის საინტერესო იქნება მასთან საუბრის მოსმენა.**

**— ბატონო რუბენ, უპირველესად მოგესალმებით ჩვენი მკითხველის სახელით, და გთხოვთ ჩვენს მკითხველს მოუთხროთ ისრაელში თქვენი საქმიანობის შესახებ.**

— ცხადია, მეც დიდი სიყვარულით მივესალმები თქვენს მკითხველს, გულახდილად რომ გითხრათ, მოუთმენლად ველოდი თქვენთან შეხვედრას. ოთხი წელია, თბილისში არ ვყოფილვარ... ახლა რაც შეეხება ჩემს საქმიანობას: არც ისე მოკლედ შეიძლება კაცმა ჩამოთვალოს. რამდენიმე თანამდებობაზე ვარ. ერთი — იერუსალიმის უნივერსიტეტში არის ტრუმენის სახელობის ინსტიტუტი, მშვიდობის ინსტიტუტი ჰქვია. ეს არის აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის პრობლემების ინსტიტუტი. რამდენადაც მოგეხსენებათ, იქ არის კონფლიქტები და მშვიდობის პრობლემა მწვავედ დგას. ამ ინსტიტუტში აზიის განყოფილების გამგე ვარ. ვმუშაობთ პ რ ო ე ქ ტ ე ბ ი ს მიხედვით. თუ მიიღებენ პროექტს, მაშინ მიიღებ ხელფასს, თუ არადა, ხარ თანამშრომელი ხელფასის გარეშე.

**— თქვენი პროექტები ალბათ, საქართველოს უკავშირდება.**

— რა თქმა უნდა, ჩემი პროექტები უშუალოდ საქართველოსთანაა დაკავშირებული. ერთი პატარა ბროშურაც გამოვეცი, რომელშიც მიმოხილულია საბჭოთა კავშირის დაშლის წინაპერიოდის საქართველოს ვითარება. სხვათა შორის ამ საკითხმა დიდი ინტერესი გამოიწვია. აღმოჩნდა, რომ ისრაელის საზოგადოება თითქმის არ იცნობდა ამ ეპოქას... ეს კია, ისრაელში ვერა და ვერ გადაწყვიტეს საკითხი, საქართველო ევროპაა თუ აზია.

**— ეს ჩვენთან გადაწყვეტილია ვითომ?**

— ჩემთვის ამას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენი პროექტების ბედი იმაზეა დამოკიდებული, იმ წელს ვინ არის კიურის თავმჯდომარე. თუ აზიური ინტერესების კაცია, ევროპაზე პროექტს შეიძლება არ დაუჭიროს მხარი... მომხდარა ისეც. წლევანდელ კონკურსში 83 პროექტი მონაწილეობდა. გაიმარჯვა სამმა, საბედნიეროდ, ერთ-ერთი ჩემია. ვფიქრობ, რომ მართლაც ძალიან საინტერესო პროექტია: „ლიტერატურისა და კინემატოგრაფიის გავლენა ისტორიულ პროცესებზე". ე. ი. ლიტერატურისა და კინემატოგრაფიის საზოგადოებრივი როლის შესახებ. საანალიზოდ ავიღე საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდი, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ხანა, უფრო ზუსტად 1978 წლის 14 აპრილიდან 1991 წლამდე. განვიხილავ მუხრან მაჭავარიანის, ოთარ ჭილაძისა და თენგიზ აბულაძის შემოქმედებას. ვფიქრობ, უმეტესად სწორედ თ. აბულაძის პოპულარობამ შეუწყო ხელი ჩემი პროე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქტის გამარჯვებას.

**— თქვენი ახალგაზრდობის დროინდელი ჟურნალისტური გატაცება, ვფიქრობ, გარკვეულ ხორცშესხმას პოულობს ამჟამინდელ მოღვაწეობაში... რაც შეეხება სხვა საქმიანობას?...**

— ჩვენს უნივერსიტეტში არის იუდეის კოლეჯი, სადაც ებრაული ლიტერატურისა და ისტორიის მემკვიდრეობის კათედრაზე მიწვეული ვარ პროფესორად. ვასწავლი საგნებს „ებრაელობა (ეს ზოგადი საგანია) და სიონისტური მოძრაობის ისტორია საბჭოთა კავშირში". ამას გარდა მიმყავს ქართულენოვანი რადიოგადაცემები და ამიტომ კვირაში სამჯერ (ხანდახან მეტჯერაც) მიწევს წასვლა იერუსალიმიდან თელ-ავივში (იქაა რადიოსადგური). რთულია ასეთი მოგზაურობა, მაგრამ თავი რომ დავანებო, გადაცემა დაიხურება და არ მინდა... ვარ ჟურნალ „დროშის" მთავარი რედაქტორი, თუმცა ჟურნალი კარგა ხანია შეჩერდა. ველარ ვცემთ, ეკონომიკურად გვიჭირს. ოფიციალურად კი არსებობს,... იმედი გვაქვს, კვლავაც გამოვა.

**— როცა ისრაელში ქართული ენის მდგომარეობაზე ვსაუბრობთ, იმათ შესახებ ვლაპარაკობთ, ვისაც შემორჩა ქართული მეხსიერება. ისრაელში დაბადებულ ქართველ ებრაელთა შთამომავლებში როგორ დგას ქართულის ცოდნის საკითხი? რა ელოდება ქართულ ენას მომავალ თაობებში?**

— ახალი თაობა, რა თქმა უნდა, ამჯობინებს ივრითს.: ვისაც შინ ბებია ზრდის, იმან ქართული უკეთ იცის... ახალგაზრდები უფრო ივრითზე გადადიან. ეს ერთ-ერთი პრობლემაა.

**— გარდა ჟურნალისა „დროშა"?..**

— გაზეთი „ალია" არსებობს უკვე 25 წელზე მეტია, საკმაოდ პოპულარულია.

**— ქართული წერა-კითხვის შესწავლის მსურველები თუ არიან და რა პირობები არსებობს საამისო?**

— იერუსალიმში მოქმედებს საქართველოდან ამოსულთა კლუბი, იქ არის ქართული ენის წრე. ამგვარი წრეები, ენის შემსწავლელი კურსები, რამდენადაც ვიცი, სხვა ქალაქებშიც არის...

**— ჩვენთან მოვიდა ინფორმაცია, რომ ისრაელის სკოლებში სავალდებულო სასწავლად შეიტანეს „ვეფხისტყაოსანი"?**

— მართალია, მაგრამ არა მთლიანად, ცალკეული ნაწილები: მოგეხსენებათ, არსებობს „ვეფხისტყაოსნის" გაპიონოვისეული შესანიშნავი თარგმანი. ამის მიხედვით ასწავლიან ზოგად მიმოხილვას და ცალკეულ ადგილებს...

**— რა იყო საფუძველი „ვეფხისტყაოსნის" სასწავლო პროგრამაში შეტანისა — მისი ლიტერატურული ღირებულება თუ ენობრივი მხარე (როგორც ამბობენ შესანიშნავი ენითაა ნათარგმნი).**

— უპირველესად, ცხადია, „ვეფხისტყაოსნის" ლიტერატურული ღირებულება. როგორც დამხასიათებელი თავისი ეპოქისა... თუმცა ამავე დონის სხვა თარგმანები რომ იყოს, მაგალითად გალაკტიონისა, შეიძლება ისიც შეეტანათ,

**— ახლახან „ლიტერატურულ საქართველოში"**



**წავიკითხე ებრაელ პოეტთა ნაწარმოებების თქვენეული თარგმანები. ვიცი, რომ ახალგაზრდობაში ლექსებს წერდით... ლიტერატურულ (მთარგმნელობით) საქმიანობას რა ადგილი უჭირავს თქვენს მოღვაწეობაში?**

— ეს, ასე ვთქვათ, პირველი პოეტური თარგმანია ჩემი. ვნახოთ, მომავალში რა იქნება.

**— ქართულიდან ებრაულად თარგმნა ხომ არ გიცდიათ?**

— ამას ალბათ ვერ შევბედავ. ივრითი ისე არ ვიცი, როგორც ქართული.

**— რამდენადაც ვიცი, ათი წლის წინათ თქვენ ებრაული ენა არ იცოდით. ახლა რა ვითარებაა: რომელ ენაზე აზროვნებთ, ასე ვთქვათ, „სიზმრის ენა" რომელია თქვენთვის.**

— ცხადია ქართული. თუმცა ამ ბოლო პერიოდში ვითარება იცვლება. ადრე ლექციებს ქართულად ვამზადებდი და მერე ვთარგმნიდი ივრითზე: ახლა ვამჩნევ, რომ ლექციების მომზადებისას ქართულად აღარ ვფიქრობ... აღარ ვთარგმნი, ასე ვთქვათ ოჯახის ენა ისევ ქართული გვაქვს. არის დედიკო, რომელსაც არ უსწავლია ივრითი, თითქმის არ იცის.

**— თქვენ ათი წლის წინ წახვედით ისრაელში, ეს თქვენი მეორე ჩამოსვლაა საქართველოში, ბევრი რამ შეიცვალა ამ პერიოდში? რას ფიქრობთ დღევანდელ საქართველოზე?**

— მე მინდა, უკეთეს საქართველოში ვიცხოვროთ...

* * *

ბატონმა რეუვენ ენოხმა გაგვაცნო პროფესორი ორციონ ბართანა — ცნობილი ისრაელელი მწერალი და მეცნიერი, ებრაული ლიტერატურისა და ზოგადი ფილოსოფიის სპეციალისტი; მრავალი წიგნის ავტორი და პრემიის ლაურეატი. ბატონმა ორციონ ბართანამ თარგმნა ებრაულად გალაკტიონი. მისი ლექსების რეუვენ ენოხისეული თარგმანები გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში". ბატონმა რუბენმა თარგმნა ასევე მისი წიგნი „საუკუნეთა მიჯნაზე" (ისრაელის ლიტერატურა). ჩვენ კითხვით მივმართეთ ბატონ ორციონ ბართანას (თარჯიმნობას ბატონი

რუბენი გვიწევს).

— ბატონო ბართანა, როგორი იყო თქვენი წარმოდგენა საქართველოზე და როგორია თქვენი შთაბეჭდილებები

— თითქმის არაფერი არ ვიცოდი საქართველოს შესახებ. ჩამოვედი როგორც სუფთა ფურცელი. ჩემი შთაბეჭდილება ასეთია: ეს არის უმშვენიერესი ქვეყანა თავისი ბუნებით და ბუნებრივი რესურსებით; მეორე მხრივ, ადამიანები ძალიან სასიამოვნონი არიან, დიდებული შესახედავნი, სტუმართმოყვარენი და, უბრალოდ, კარგი ადამიანები. ჩემი მეგობრების წყალობით გავიცანი საქართველოს ისტორია, როგორც ჩანს, ამ ქვეყანამ შუა საუკუნეებში დიდი დარტყმა მიიღო ძლიერი ქვეყნებიდან XIX საუკუნემდე. XVI საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული ძალიან რთული პერიოდი ჰქონდა საქართველოს; შემდეგ კიდევ ახალი დარტყმა მიიღო საბჭოთა რეჟიმის „წყალობით". მეტ-ნაკლებად აქ ისეთივე სურათს ვხედავ, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირისა თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში; ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს ხალხები ჯერ კიდევ მზად არ არიან დამოუკიდებლობისათვის. როგორც ჩანს საბჭოთა წყობილებამ ადამიანებს ჩაუკლა პირადი ინიციატივის სურვილიც კი და ის, რასაც ჰქვია — რა გავაკეთო ჩემთვის და რა გავაკეთო საზოგადოებისათვის, ჩემი ირგვლივ მყოფთათვის.

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა რუბენის შესახებაც. როცა მან თბილისში ჩამომიყვანა, ქალაქის გაცნობა მოისურვა — ეს დასავლეთი ნაწილია, ეს — აღმოსავლეთი, ეს ძველი თბილისია, ეს — ახალი, მაგრამ ისე მივდივარ, რომ სრული წარმოდგენა არ შემიქმნა ქალაქზე...

**— ერთი სტუმრობით სრული წარმოდგენის შექმნა ძნელია; ეს იმას ნიშნავს, რომ კიდევ უნდა გვესტუმროთ.**

— ჩემი მიზანია, უფრო კარგად წარმოვიდგინო ქართული ლიტერატურის განვითარება. რუბენის დახმარებით თუ შევძელი სრული წარმოდგენა შევიქმნა ქართულ მწერლობაზე და ეს მივიტანე ებრაელ მკითხველამდე, ეს ძალიან კარგი იქნება ორივე მხრისათვის. კიდევ უფრო კარგი იქნება, თუ იმასაც შევძლებ, რომ ივრითული ლიტერატურის სურათი წარმოვუდგინო ქართველ მკითხველს...

ტარიელ სიხარულიძე

# პეტრე უსლარის სოციოლინგვისტური შეხედულებანი

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით სოციოლინგვისტიკა როგორც მეცნიერება ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ ამ მეცნიერების სათავეები უდავოდ უკავშირდება ევროპას და, კერძოდ, საფრანგეთს (იგულისხმება ლაფარგის ნაშრომი „ენა და რევოლუცია") და რუსეთს (იგულისხმება პ. უსლარის ორი წერილი: „კავკასიის ხალხებისათვის ანბანის შექმნის შესახებ" და „მთიელებში წერა-კითხვის გავრცელების შესახებ" (1870 წ.). პირველი ფაქტობრივად არის მოხსენება, რომელიც 1861 წ. 13 მაისს უსლარმა თბილისში წარუდგინა გეოგრაფიულ საზოგადოებას „კავკასიის უმწერლობო ენებისათვის ანბანის შედგენის აუცილებლობის შესახებ", ხოლო მეორეში განიხილება რუსული ენის ჩრდილო-კავკასიის ხალხების ენებთან და არაბულ ენასთან ურთიერთობის რთული საკითხები.

დაუწერელი კანონის მიხედვით კომპოზიტ „სოციოლინგვისტიკა"-ში თავში მოქცეულია ის ცნება, რომელსაც ესა თუ ის მეცნიერი ენისა და საზოგადოების ურთიერთობაში ერთგვარ უპირატესობას ანიჭებს. ამ თვალსაზრისით პ. უსლარი უნდა განისაზღვროს როგორც ლინგვოსოციოლოგი, ვინაიდან მეცნიერი უაღრესად დიდ, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ენას.

მართალია, საბჭოთა პერიოდში ზოგი კონიუნქტურული მოსაზრების გამო პ. უსლარის ნაშრომებიდან იყენებდნენ ცალკეულ ფრაზებს, რომლებიც მისაღები იყო საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური ურთიერთობის პოზიციებიდან, მაგალითად, ძალიან პოპულარული იყო მისი ნააზრევი კავკასიელი ხალხების განათლების შესახებ დედაენაზე, კავკასიური ენების მნიშვნელობის, ქართული ანბანის სრულყოფილების შესახებ და ა. შ. ძირითად კონტექსტს მოცილებული წინადადებები სხვა შთაბეჭდილებას ქმნიდნენ, თითქოს პ. უსლარი იყო კულტურტრეგერი, ადამიანი, რომელსაც მხოლოდ კულტურის საკითხები აწუხებდა.

სინამდვილეში პ. უსლარი არ მალავდა თავის მიზნებს, ვინაიდან ეს იყო მისი ძირითადი საქმიანობა: რუსის ჯარის გენერალი, სახელმწიფო მოღვაწე, მეფის ერთგული ქვეშევრდომი, რომლის მთავარი საზრუნავი რუსეთის სრული ბატონობაა კავკასიაში; უსლარის თვალსაზრისით, ამ ამოცანის გადაწყვეტა უშუალოდ უკავშირდება რუსული ენის მდგომარეობას მთიანეთში.

მისი მოღვაწეობის ეს მხარე, ჩვეულებრივ, არ განიხილებოდა, მაგრამ დღეს ამ საკითხების სრული და ობიექტური შე-

მოხსენება წაკითხულია პ. უსლარის დაბადების 200 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე

სწავლა ითხოვს რუსეთის ენობრივი პოლიტიკის როგორც ზოგადი პოლიტიკის კომპონენტის განხილვას.

თუ გავითვალისწინებთ რუსეთის ენობრივი ცხოვრების პარადოქსებს და, კერძოდ, კომუნისტების (განათლების ნარკომის ლუნაჩარსკის მეთაურობით) კამპანიას არსებული და მათ შორის რუსული ანბანის ლათინურით შეცვლის თაობაზე, ამ ფონზე უსლარის კონცეფცია რუსული ენის პოზიციების გამაგრების შესახებ არაბულის ხარჯზე სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით გაცილებით უფრო ლოგიკური და გამართლებული ჩანს.



უსლარი წერდა, რომ სამხედრო ან დიპლომატიური ხრიკებით დამორჩილებულ ხალხთან დაახლოება მეტად ძნელია, ამას კიდევ უფრო ართულებს სიტუაცია, რომელიც მათ მთიანეთში დახვდათ. არაბებმა ჯერ იარაღით დაიპყრეს დაღესტანი, ხოლო შემდგომ შეუდგნენ მის დაპყრობას არაბული ენით. ის საზღვრავს, რომ რუსეთს გაცილებით უფრო რთული ამოცანა აქვს გადასაწყვეტი, ვინაიდან არაბებმა დაიპყრეს და „მოარჯულეს" უმწერლობო ხალხები, ხოლო მათ ურთიერთობა აქვთ მტრულ, არაბული დამწერლობის მქონე ეთნოსებთან.

ამის და კვალად, იმდროინდელი ენობრივი სიტუაცია შეიძლება დახასიათდეს როგორც ბილინგვიზმის თავისებური ფორმა, რომლის კომპონენტებად გვევლინებიან, ერთი მხრიდან, ცოცხალი ჩრდილო-კავკასიური ენები, ხოლო მეორე მხრიდან, მკვდარი კლასიკური არაბული ენა. არაბული კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში შემოვიდა როგორც მუსლიმანობის ენა. მაგრამ რაოდენ წინააღმდეგობრივად არ უნდა ჩანდეს, თვით მუსლიმანობა აფერხებდა ყურანის გავრცელებას ხალხში, რადგან წმინდა ენიდან თარგმნა აკრძალული იყო და ნებისმიერი ასეთი მცდელობა აღიქმებოდა როგორც (ქრისტიანული ტერმინით რომ აღვნიშნოთ) ერეტიკოსობა, ანუ განდგომა. რაც შეეხება დაღესტანს, ამ შემთხვევაში ლეზგიურ ტომებს, იქ ფაქტობრივად ფიგურირებდა ტრილინგვიზმი. ლეზგიურ და არაბულ ენებს ემატება თურქული ენა. ფუნქციური თვალსაზრისით ყოველს გააჩნია თავისი სფერო: ადგილობრივი, ლოკალური მნიშვნელობის, გამოიყენება შესაბამისი ტომის შიგნით, ტომებს შორის, ზეპირი ურთიერთობის, რეგიონალური, ე. ი. თურქული ენა და სამწერლო — მთელი ჩრდილო კავკასიისათვის — არაბული ენა. ეს უკანასკნელი მისი ზოგად კავკასიური ინტეგრაციული მნიშვნელობის გამო ყველაზე დიდ საფრთხედ მიაჩნდა უსლარს, ის წერს: „ახლა არაბული და რუსული ენები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. რომელი მათგანი დაეპატრონება დაღესტანს — ორივე მოსულის, ორივე დამპყრობლის ენაა".

არაბულის გავრცელების წყაროდ ის სრულიად სამართლიანად მიიჩნევდა სკოლას და ამასთან დაკავშირებით გამოთქვამდა შეშფოთებას, რომ მათში ენისა და დამწერლობის სწავლების თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი ვითარებაა, ვიდრე რუსეთში: აბსოლუტურად ყველა სოფელში მუშაობს სკოლა, თან მასწავლებლისა და მოწაფის დედაენა ერთია, მაშინ როდესაც მთიანეთში რუსულ სკოლაში მასწავლებელმა მოწაფის ენა არ იცის: „დაღესტანში ჩვენ მიმართ ყველა მტრულ ელემენტს აერთიანებს არაბული ენა... ამ ენის შესწავლის გამხრწნელი ზეგავლენა აღიბეჭდება მთიელთა ცხოვრებაში, შემოხლართავს მათ აკვნიდან საფლავამდე. ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლების გრძელ წყებას ისინი ატარებენ მუსლიმანურ სკოლაში — ულმობელობის, ფანატიკოსობის დაღვრემილ საბუდარში, სადაც გონებრივი შესაძლებლობების შეზღუდვის მიზნით ასწავლიან მათთვის გაუგებარ ენაზე იკითხონ ყურანი, ვარჯიშობენ მათთვის გაუგებარი დამწერლობის მოხაზვაში". მისი თვალსაზრისით, არაბული ენის პოზიციების დასუსტება შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივი ენების მეშვეობით — ენებისა, რომლებმაც გაუძლეს არაბული ენის მრავალსაუკუნოვან ზეგავლენას. ამიტომაც ამბობს უსლარი: „ჯერ ასწავლეთ მთიელ მოწაფეს წერა-კითხვა დედაენაზე და შემდეგ გადადით რუსულზე".

უსლარი აღნიშნავს, რომ მთიელმა კაცმა დიდი ხანია განსაზღვრა დამწერლობის აუცილებლობა სხვადასხვა სამოქალაქო ხელშეკრულების გასაფორმებლად. ნოტარიუსებად მუშაობენ მხოლოდ არაბული ენის მცოდნენი, რომელთა გარეშე მთიელებს ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ, ხოლო ახალი ადმინისტრაციის განკარგულებებისათვის აუცილებელია დამწერლობა. რუსული მთიელთათვის უცხოა, ადგილობრივი არ არსებობს, არის მხოლოდ არაბული დამწერლობა. აი ამ რიგის საკითხები აიძულებენ უსლარს შექმნას ანბანი კავკასიელი ხალხებისათვის. საბაზო ანბანის შერჩევის კრიტერიუმი ერთია, მისი მაქსიმალური სიახლოვე კავკასიურ ენებში წარმოდგენილ ბგერებთან. მან განიხილა სხვადასხვა ანბანი და დაასკვნა, რომ არც ლათინური და არც გერმანული საამისოდ არ

გამოდგება: მათში, მაგალითად, არაა მუდმივი ბგერები: გ, ჟ, შ, ც, ჩ — სათვის. მსჯელობისას ის აღნიშნავს, რომ რუსულს ამ თვალსაზრისით აქვს უპირატესობა, ოღონდ რუსულს გააჩნია საგრძნობი ნაკლი თვით რუსულის მიმართ. გარდა ამისა, რუსულში არ აღმოჩნდა ფშვინვიერი ბგერები, რომელიც ყოფილა სომხურში, მაგრამ სომხურში არაა ხორხისმიერი ბგერა ყ, რომელიც, მკვლევრის აზრით, განსაკუთრებულ ორიგინალობას სძენს კავკასიურ ენებს... გარდა ამისა, მოხაზულობის ერთფეროვნებით სომხური დამღლელია მხედველობისათვის; მკაფიო შრიფტის მიუხედავად მეტად რთულია ასოს გარკვევა. ამიტომ თავისი მზერა მან შეაჩერა ქართულ ანბანზე: „თუ შევაფასებთ ქართულს თვით ქართული ენის მიმართ, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ის პასუხობს ყველა პირობას: ყველა არსებული ანბანიდან ის ყველაზე სრულყოფილია. ყოველი ბგერა გამოიხატება განსაკუთრებული ნიშნით და ყველა ნიშანი მუდმივად გამოხატავს ერთსა და იმავე ბგერას. ყველა ევროპულ ენაში არის ლოდი დაბრკოლებისა — ესაა ორთოგრაფია; ქართველებისათვის ანბანის სრულყოფილების წყალობით ეს სირთულე თითქმის არ არსებობსო".

ავტორს ეჭვი არ ეპარება ქართული ანბანის უნივერსალობაში, მის შესაძლებლობებში, გამოხატოს ყველა საჭირო ბგერა კავკასიურ ენებში, მაგრამ ქართული ანბანის თეორიული შეფასება ერთია, ხოლო მისი პრაქტიკული დანიშნულებით გამოყენება არ შეესაბამება საბოლოო მიზნებს: იგი წერს „...თუ ჩვენ გამოვიყენებთ არა მხოლოდ ქართული ანბანის სისტემას, არამედ ასოთა მოხაზულობასაც, მაშინ უნებურად შევიქმნით სიძნელეებს, რომლებიც მით უფრო იქნება საგრძნობი, რაც განათლება გავრცელდება კავკასიაში". ამ წმინდა გეოპოლიტიკური მოტივების გარდა, არის ამ პრობლემის სოციოლინგვისტური ასპექტებიც, კერძოდ, რომ ქართულ ანბანს იყენებენ მხოლოდ ქართველები, რომ იგი მკვეთრად განსხვავდება რუსულისაგან, თანაც აღინიშნება, რომ რუსული საკმაოდაა გავრცელებული განათლებულ ქართველებში, მთიელთა უმეტეს ნაწილს მჭიდრო კავშირი არა აქვთ ქართველებთან, მაშინ როდესაც რუსებთან მუდმივი ურთიერთობა გააჩნიათ და გრძნობენ რუსული ენისა და ანბანის შესწავლის აუცილებლობას.

ამდენად, ყველა აქ ჩამოთვლილი მიზეზი და ზოგი სხვაც, პ. უსლარის აზრით, საკმარისია და რუსული ანბანის სასარგებლოდ წყვეტს საკითხს, რაც განაპირობებს დამატებითი ნიშნების გამოყენებას სპეციფიკური ქართულ-კავკასიური ბგერებისათვის. უსლარს ეს დიდ ნაკლად მიაჩნია. ამის თავიდან ასაცილებლად მან ზოგ შემთხვევაში უცვლელად შეიტანა ჯ, წ, ჭ ასოები, ზოგიც უმნიშვნელოდ შეცვალა და ახალი ასოები შექმნა. დაბეჭდვისას არც ერთი აღნიშნული გრაფემა ანბანში არ აღმოჩნდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მაშინდელი მზრუნველის იანოვსკისა და მისი თანაშემწის ზავადსკის წყალობით. ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა: „რაც ანბანის ნაკლად მიაჩნდა და რის წინააღმდეგაც ის იბრძოდა სწორედ მის შექმნილ საქმესაც ვერ ასცილდა".

მეფის მსახურთა დამოკიდებულება მკვიდრი მოსახლეობისადმი სხვადასხვაგვარია (რაციონალური ან დერჟავული), მაგრამ საბოლოო მიზანი ერთია. ამ კონტექსტში მოვიყვანთ უსლარის ერთ გამოთქმას: „ვოლგისპირეთის თათრები გეოგრაფიული მდებარეობით გაცილებით უკეთეს პირობებში არიან, ვიდრე დაღესტნის მთიელები: ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა რუსებთან შერეულად ცხოვრობს. უმეტესი ნაწილი რუსი აზნაურობისა ყაზანისა და სიმბირსკის გუბერნიებში თათრული წარმოშობისაა, როგორც მაგალითად, დერჟავინები, კარამზინები, ერმოლოვები. ეს ამტკიცებს, რომ როგორც არ უნდა სუსტი ყოფილიყო რუსული - ქრისტიანული ცივილიზაციის ელემენტი, მოკლე დროში ჭკუით, სიმდიდრით ან წარმოშობით მოწინავე ადამიანთა ყურადღება მაინც მიიპყრო. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხალხი დარჩა სამშობლოში, ისინი **სულ გარუსდნენ და მოწყდნენ თავის თანამემამულეებს** (ხაზგასმა ჩვენია — ტ. ს.)

ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: დერჟავინები, კარამზინები, ერმოლოვები, იანოვსკები, ზავადსკები, უსლარები, სხვათა შორის, გრიგოლ ორბელიანი და მრავალი სხვა არარუსი ქვემევრდომი პირნათლად ემსახურებოდა რუსეთის იმპერიის გვირგვინს: პატიოსნად ასრულებდა თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას, ერთგულად ემსახურებოდა მეფეს, სარწმუნოებას, სახელმწიფოს.

ვფიქრობთ, ეპოქამ განაპირობა ამ ხალხის იმდროინდელ ისტორიულ რეალიებში აქტიური მონაწილეობა. განა ამაში დასაძრახი რამეა?

და ბოლოს, პ. უსლარის როლისა და მნიშვნელობის შესახებ კავკასიური ენებისა და კავკასიური სამყაროს შესწავლა-აღწერაში, მოვიყვანთ დიდი ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისს: „...ამ გატაცებამ და აღფრთოვანებულმა მუშაობამ უსლარს ის შეაძლებინა, რაც ერთ ადამიანს კავკასიის შესასწავლად არც მანამდე და არც მას შემდგომ, მის გარდა, არავის გაუკეთებია".

**P. S.** როგორც ვხედავთ ამა თუ იმ საკითხის გავრცელებას უსლარი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, რაც სრულიად ლოგიკურია. თითქოს ამ უმნიშვნელო საკითხს ის უკავშირებს გეოპოლიტიკურ საკითხებს ამ კონტექსტში.

# აკაკი შანიძის უცნობი წერილები

**ვარლამ თოფურიას არქივიდან**

**25/XI 940**

**ბ. ვარლამ,**

ეს-ეს არის მცხეთიდან დავბრუნდი. იქ რაღაც ისეთი ჩნდება, რომ მგონი ნაპოვნს (ასპავრუკს, ანუ ასფაგურს) გადააჭარბოს. ჯერ არ გაუხსნიათ. გახსნიან ორ-სამ დღეში.

დღეს კი ჩემი მისვლისას ერთი საფლავის ქვის წაწერა აღმოჩნდა ორენოვანი (ბერძნულ-ფალაური). გარდაცვლილა საქართველოს მეფის ქსეფარნუგის პროკურატორის /ეპიტროპის/ იოდმანგანის ცოლი სერაპეიტი, ახალი პიტიახშის ზევახის (=ჯავახის?) ასული, 21 წლისა, სილამაზის მხრივ უებრო.

ჰო და, თქვე კაი კაცო, ასეთი ამბების შემდეგ კორექტურები როგორ ვასწორო?! კიდე კარგი, რომ ერთი ფორმა უკვე გასწორებული მქონდა დილით, სანამ მცხეთას წავიდოდი. ერთსაც ამაღამ გავასწორებ. ერთიც ვებ დილით ადრე მოვისწროთ. ასე რომ თქვენს მოსვლამდე შეიძლება სამი მაინც მქონდეს მზად. ა. შ.

**პროფ. ვ. თოფურიას და ა. ჩიქობავას**

როგორც პროფ. კ. კეკელიძე მატყობინებს, მე დანიშნული ვყოფილვარ თავმჯდომარედ იმ კომისიისა (ა. შანიძე, ვ. თოფურია, ა. ჩიქობავა), რომელმაც უნდა გაარჩიოს ახალგაზრდა მეცნიერთა საკავშირო შეჯიბრში განსახილველად წარდგენილი თხზულებანი:

1. შ. ძიძიგურის „ქართ. ენის მთარაჭული დიალექტის მთავარი თავისებურებანი".

2. ს. ჟღენტის „ჭანური ტექსტები. არქაბული კილოკავი".

3. თ. გონიაშვილის „პადიშის ოთხთავის ზოგი ენობრივი ნორმა და მასში წარმოდგენილი დიალექტიზმები".

4. ვლ. ფანჩვიძის „ქართ. ენის იმერული კილო".[1]

საჭიროა დაიწეროს რუსულად მოკლე რეცენზიები აღნ. თხზულებათა, სადაც აღინიშნება, თუ რამდენად შესაძლებელია მათი წარდგენა საკავშირო კომისიაში.

თქვენ, როგორც რესპუბლიკური კომისიის წევრებს, გევალებათ, დაწეროთ სათანადო რეცენზია და წარმოადგინოთ განსახილველად კომისიის სხდომაზე 14 ამ თვეს საღ. 8 საათზე ენიმკის[2] დარბაზში. ძიძიგურის ნაშრომის რეცენზიას წარმოადგენს ვ. თოფურია, დანარჩენებისას კი — ა. ჩიქობავა.

ამ შრომებს თქვენ იცნობთ. თუ საჭიროა თვით თხზულებანი, შეგიძლიათ მოიკითხოთ ჩემთან ბინაზე.

ჩვენი კომისიის დასკვნა 15/X 937 წ.-ს უნდა გადაეცეს ტფ. სახ. უნივერსიტეტის რექტორს.

კომისიის თავჯდომარე

ა. შანიძე

12. X. 1937

საღ. 8.30.



**1 შემდეგში ცნობილ ენათმეცნიერებს: შოთა ძიძიგური (1911-1994), სერგი ჟღენტი (1912-1963), თინათინ გონიაშვილი (1913-1988), ვლადიმერ ფანჩვიძე (1906-1984).**

**2 ენიმკი — აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი.**

**28/X. 942**

**ბ. ვარლამ,**

გთხოვთ მომავალ ორშაბათს დღის 1 საათზე დანიშნოთ ჩემი მოხსენება ენიმკში. სასურველია, ეს ამბავი გაზეთშიც იქნეს გამოცხადებული. თემა: ზმნის ულლების ფორმათა გადაჯგუფება ქართულში და მისი ისტორიული საფუძველი.

ა. შანიძე

**4. IX. 928**

**ვარლამ ჩემო,**
**სალამი ლონდონიდან!**

ეს გიორგი ოსი[1] არ მშორდება: — ჩამოვაგდე განჯაში და დავაბრუნე ტფილისში, მომეწია ბერლინში. ჩამოვაგდე იქ, — მომეწია ლონდონში. ახლა კიდევ უნდა ჩამოვაგდო სადმე.

კონგრესს[2] მოეხსენდა ორი ჩემი მოხსენება. გიორგის მოხსენება მეიემ[3] წაიკითხა მოკლედ (გერმანული ტექსტი იდო წინ და ფრანგულად თარგმნიდა). დაწვრილებით შემდეგ. მოკითხვა თქვენს თამარს[4]

ა. შანიძე

**ეს სახუმარო წერილი, მზექალა შანიძის განმარტებით, იმითაა გამოწვეული, რომ ამ მგზავრობაში გ. ახვლედიანს ჩემოდანი მოპარეს, რომელშიც მისი პასპორტი იდო. ამის გამო გ. ახვლედიანი დელეგაციის ჩამორჩა.**

1. გიორგი ახვლედიანი (1887-1937); ოსური ენის სპეციალისტი.

2. ლაპარაკია ორიენტალისტთა მე-17 მსოფლიო კონგრესზე, რომელიც ჩატარდა ოქსფორდში 1928 წელს.

3. ანტუან მეიე (1866-1936), ფრანგი ენათმეცნიერი

4. თამარ ლეჟავა — ვ. თოფურიას მეუღლე.

**ნდობის ბარათი**

ამით ვანდობ ბ. ვარლამ თოფურიას, მიიღოს სტუდენტთა კავშირისაგან ჩემი ხვედრი საავტორო ცალები პალეოგრაფიული რვეულისა.

პროფ. ა. შანიძე
1924 წ. 30 აპრილს.

**წერილები მოგვაწოდა ბატონმა ბუჩამ თოფურიამ**



22490
საქართველოს

პაატა ძურდაძე

# „გრდემლი ტყვიისა ლბილისა“ დაფარული სიბრძნის გაგებისათვის

ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, როგორაა ასახული დაფარული სიბრძნე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, რომელიც დიდი სასწავლო ღირებულების წიგნია ქართველთა და არა მარტო ქართველთათვის. ჩვენი აზრით, ასეთი სიბრძნე უხვადაა პოემაში და მის მართებულ გაგებას დიდი აღმზრდელობითი და შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს ყველასათვის, განსაკუთრებით კი მოსწავლეახალგაზრდობისათვის.

წინასწარ მინდა აღვნიშნო, რომ ისეთი მხატვრული ქმნილებანი, როგორიც „ვეფხისტყაოსანია“, ეგვიპტური იეროგლიფების მსგავსად ერთსა და იმავე დროს შეიცავენ რამდენიმე აზრს. მათში ალეგორიულად შეიძლება ჩადებული იქნას სხვადასხვა აზრი და მნიშვნელობა, რომელიც ერთი შეხედვით შეიძლება არ იყოს წამოწეული წინა პლანზე. სწორედ ასეა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ამ პოემაში ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე სტროფში და სიტყვათა წყობაში გადმოცემულია მეფე თამარის ქება, მიჯნურობის, სიკეთის, სიყვარულის, მეგობრობის, ერთგულების ქადაგება და ასევე, ადამიანთა ურთიერთობის მრავალი პრობლემური საკითხი. ჩვენი აზრით, ეს ყველაფერი ვითარდება ხალხისათვის, ფართო მასებისათვის უცნობი ეზოთერული სიბრძნის ფონზე. როგორც რუსთაველი პოემის შესავალში აღნიშნავს, მას დაავალეს ძლევამოსილი, ეკონომიკურ-პოლიტიკურად და სამხედრო ძლიერების მწვერვალზე მყოფი მაშინდელი ქართული სახელმწიფოს მეფის სადიდებელი პოემის შექმნა.

„მიბრძანეს მათად საქებრად
თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა,
თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბადახშისა თლილისა,
მით მიჯრით მიწყობილისა,
გასტეხს ქვასაცა მაგარსა
გრდემლი ტყვიისა ლბილისა“.

ამ სტროფში ერთი შეხედვით მოცემულია მეფის ქება-დიდება. სტროფის ბოლოს პოეტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მას მის სადიდებლად უბრძანეს ტკბილი ლექსების თქმა და, ბოლოს, ჩვენთვის რაც ყველაზე საყურადღებოა, ამ შემთხვევაში აღმზრდელობითი თვალსაზრისით, შოთა რუსთაველის აზრით, რბილი ტყვიის გრდემლს შესწევს უნარი გატეხოს მაგარი ქვა და კლდე.

„გასტეხს ქვასაცა მაგარსა
გრდემლი ტყვიისა ლბილისა“.

სწორედ აქაა დაფარული ეზოთერულ-ფილოსოფიური სიბრძნე, რომელიც ამ სტროფში ძევს. დავიწყოთ იმით, რომ აქ მოსწავლეებს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა — როგორ შეიძლება რბილმა გრდემლმა მაგარი ქვა გატეხოს? ეს ფაქტი ფიზიკურ სამყაროში თითქმის არ შეინიშნება. პირიქით, ფიზიკის კანონების თანახმად, ხისტი, მაგარი სძლევს რბილს. რკინა ხის მერქანს ჭრის, ხე თიხას ფორმას უცვლის და ა. შ. ის, რომ რბილი მაგარს სძლევს, აღმოსავლური ფილოსოფიიდან მომდინარეობს და მას ღრმა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. უფრო მეტიც, ჩინურ სახელმწიფოებრიობას მრავალი საუკუნის მანძილზე სწორედ ეს პრინციპი ედო საფუძვლად. უნდა ვიგულისხმოთ, რომ აღმოსავლეთში ეზოთერული სიბრძნე გაცილებით ადრე იქცა ადამიანთა ყოფით ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში. მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ, რომ მოვლენათა განვითარება დამოკიდებულია სიტუაციაზე, დროსა და იმ პირობებზე, რა პირობებშიც ეს მოვლენა მიმდინარეობს. ჩვეულებრივ პირობებში არ არის მიღებული, რომ რბილმა ხისტი, მაგარი გატეხოს, დაამარცხოს, მაგრამ თუ ეს პირობები და სიტუაცია შეიცვალა, მაშინ შეიძლება ეს მოვლენა პირიქით განვითარდეს. აი, რას წერს ამის შესახებ დაახლოებით 25 საუკუნის წინ გამოჩენილი ჩინელი ფილოსოფოსი ლაო-ძი: „ცის ქვეშეთში არაფერი არ არის წყალზე უფრო რბილი და სუსტი, მაგრამ ის თავს ესხმის ძლიერსა და მაგრს და არავის შეუძლია მასზე გამარჯვება“. მართლაც, წყლის ზვირთს შეუძლია ყველაფერი წალეკოს. ამის მაგალითად საკმარისი იქნება მარტო ცუნამი დავასახელოთ. იმისათვის, რომ ფიზიკურ სამყაროში რბილმა და სუსტმა სძლიოს მაგარს, საჭიროა გარკვეული პირობა, რაც ფიზიკის კანონზომიერებიდან ურთიერთქმედ ძალთა გადანაწილების შედეგად ხორციელდება. ხოლო, რაც შეეხება ცოცხალ სამყაროს და განსაკუთრებით, მის ყველაზე მაღალ კატეგორიას — ადამიანთა საზოგადოებას, აქ იმისათვის, რომ რბილმა და სუსტმა სძლიოს მაგარს, აუცილებელი პირობაა სიმშვიდე. ამას მიუთითებს ლაო-ძიც თავის შემდეგ გამონათქვამში: — „სამყარო მშვიდია. აქ ყველაზე რბილი — ყველაზე მაგარს სძლევს“. ე. ი. ლაო-ძის აზრით, რბილმა რომ მაგარს სძლიოს, ამისათვის მთავარი პირობა

სიმშვიდეა, სხვა შემთხვევაში საქმე გვექნება საწინააღმდეგო მოვლენასთან.

მოსწავლეებს უნდა განვუმარტოთ, რომ ადამიანთა საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები იმეორებენ ფიზიკური არაცოცხალი სამყაროს კანონზომიერებებს, მაგრამ ეს კანონზომიერებანი აქ უფრო რთულად მიმდინარეობს.

აღმოსავლური ფილოსოფიური აზრის მიხედვით, საოცრება ის კი არ არის, ადამიანმა ცაში იფრინოს, როგორც ფრინველმა, ან იაროს წყლის ზედაპირზე, საოცრება ის არის, რომ ადამიანმა შეძლოს სიარული დედამიწაზე. აქ, დედამიწაზე ადამიანის სიარულის პრობლემატიკა მარტო გრავიტაციული წონასწორობით და ხახუნის ძალებით არ შემოიფარგლება. ლაო-ძი ამ პრობლემატიკის ამოხსნის ძირითად პირობად სწორედ სიმშვიდეს ასახელებს, ე. ი. თუ ადამიანები მშვიდად შეხვდებიან ყოფა-ცხოვრებაში მიმდინარე ყოველგვარ მოვლენას, მაშინ მათ თავიანთი რბილი ელასტიკური დამოკიდებულებით შეუძლიათ სძლიონ უხეშ, ხისტ წინააღმდეგობებს და, ამდენად, თავიდან აიცილონ მოსალოდნელი კონფლიქტები და პრობლემები, როგორც ყოფით, ფიზიკურ, ასევე სულიერ პლანში, რითაც მათ მიეცემათ საშუალება თავისი ქმედება წარმართონ სიკეთისაკენ.

განვიხილოთ ეს მოვლენა პარაფსიქოლოგიური პოზიციებიდან. მატერიალისტური ფსიქოლოგია თვლიდა, რომ ადამიანი შედგება მხოლოდ ერთი ფიზიკური სხეულისაგან, რომლის ყოველგვარი ქმედება იმართება ევრეთწოდებული მატერიის უმაღლესი ფორმის, მოაზროვნე მატერიისაგან, ანუ ტვინის მეშვეობით. რა თქმა უნდა, სწორია, რომ ტვინში ფიგურირდება ის ინფორმაცია, რომელიც გრძნობათა ორგანოების მეშვეობით შემოდის გარედან. ასევე ტვინიდან გადაიცემა გარკვეული იმპულსები ამ რეაგირებაზე. მაგრამ, რაც შეეხება აზროვნებასა და შემოქმედებას, აქ ტვინის ფუნქცია მარტო გრძნობად-შემეცნებითით არ უნდა შემოვფარგლოთ. დაახლოებით ასე ფიქრობენ დღევანდელი პარაფსიქოლოგები. მათი აზრით, ადამიანი არ შედგება მარტო ერთი ფიზიკური სხეულისაგან და ადამიანის ტვინში შეიძლება ინფორმაცია გრძნობად-შემეცნებითის გარდა სხვა გზებითაც მოხვდეს, თუნდაც ინტუიციურად. მათი წარმოდგენები ამ საკითხში ემთხვევა რელიგიურ-ეზოთერულ სწავლებას, რომლის ერთ-ერთ ნაწილს აღმოსავლური, იოგური ფილოსოფიაც წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც ადამიანი შედგება შვიდი სხეულისაგან. ამ სხეულებს სხვადასხვა სიმკვრივე გააჩნიათ და განუწყვეტლივ ვიბრაციას განიცდიან სხვადასხვა სიხშირით. ეს სხეულები ერთმანეთს განმსჭვალავენ და ერთდროულად სხვადასხვა სიხშირით ირხევიან, არსებობენ სხვადასხვა განზომილებაში. ეს სხეულებია: 1. ფიზიკური სხეული, 2. ეთერული სხეული, 3. ასტრალური სხეული, 4. მენტალური სხეული, 5. ასტრალური აზროვნების სხეული, 6. სულიერი აზროვნების სხეული, 7. ევრეთწოდებული „მე". ზემოთ ჩამოთვლილი შვიდი სხეული, რომელნიც სხვადასხვა სიხშირით ირხევიან, ქმნიან ერთ მთლიანს თავისი ბიოველით. ამ ბიოველს პარაფსიქოლოგიაში აურა ეწოდება. ეს თითოეული სხეული, ანუ აურის თითოეული შრე ხასიათდება განსაკუთრებული ფერით, რომელიც დროდადრო, ადამიანის განწყობილებისა და მდგომარეობის მიხედვით იცვლება, რასაც ჩვეულებრივ პირობებში ჩვენი თვალი ვერ ამჩნევს. მაგალითად, ზოგიერთ შინაურ ცხოველებს შეუძლიათ მისი გარჩევა. საინტერესოა, რა ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი გაღიზიანებულია, აღგზნებული და განრისხებული. ამ დროს იცვლება აურის შვიდივე ფენის ვიბრაციის სიხშირე. ასევე შესაბამისად იცვლება მათი ფერიც, რითაც ირღვევა ჰარმონია მათ ურთიერთკავშირში, რის გამოც ხდება გარკვეული კავშირების დარღვევა აზროვნებასა და ემოციებს შორის. მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიო რანგის პარაფსიქოლოგის გიორგი გურჯიევის აზრით, ამ დროს ადამიანის გონება გარკვეულწილად გადადინდება მის საკუთარ არსში, ევრეთწოდებულ „მე"-ში, რის შედეგადაც გონება ექცევა ემოციური, პიროვნულის გავლენის ქვეშ. ამის გამო ადამიანს უჭირს კონტროლი გაუწიოს თავის ქმედებას, რასაც თან სდევს გარედან შემოსულ ინფორმაციაზე არალოგიკური რეაქციები. ამას ჩვეულებრივ წონასწორობიდან გამოსვლასაც უწოდებენ. წონასწორობიდან გამოსვლა ხშირ შემთხვევაში შეიძლება გადაიზარდოს მრისხანე-

## ბ. ჯორბენაძე — 60



ბეში ან სასოწარკვეთილებაში. ორივე შემთხვევაში ადამიანი საზოგადოებაში იქმნის პრობლემებს და მიდის კონფლიქტამდე. ამ სიტუაციაში ადამიანის ქმედება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს მიმართული სიკეთისაკენ, პირიქით, იგი მიმართულია ბოროტისაკენ. იმის მიხედვით, თუ როგორი ფსიქოლოგიური ტიპის, სოციალური მდგომარეობისა და ინტელექტის ადამიანთან გვაქვს საქმე, ეს გაუწონასწორებელი მდგომარეობა გამოიხატება სხვადასხვანაირად: სიტყვიერი შეურაცხყოფით, ლანძღვით, ფიზიკური ქმედებით და სხვა.

ხოლო, როდესაც ადამიანი არ არის გაღიზიანებული, განრისხებული და ის ინარჩუნებს წონასწორობასა და სიმშვიდეს, მაშინ მისი აურის შვიდივე შემადგენელი ნაწილი ირხევა ერთმანეთის მიმართ სინქრონულად, მათ შორის გარკვეული ჰარმონიულობა დაცულია. ამის შედეგად, როგორც გიორგი გურჯიევი აღნიშნავს, ადამიანს უკვე შეუძლია გუნება გამოყოს თავისი ბუნებისაგან, ე. ი. ეგრეთწოდებული ქვედა „მე", ემოციურ-პიროვნული, გამოყოს ინტელექტუალური გონებრივიდან, რის შედეგაც გონება აღარ გადადინდება ემოციურში, მოქმედებს დამოუკიდებლად. ამ დროს ადამიანი გაწონასწორებულია. მას შეუძლია ნაკლები დამახინჯებით მიიღოს გარედან მოსული ინფორმაცია, გააანალიზოს ის „ცივი გონებით" და მოახდინოს მათზე ლოგიკურად სწორი ადეკვატური რეაქცია თავისი თბილი, რბილი დამოკიდებულებით. ამ უკანასკნელით ის მეორე ადამიანშიც აღძრავს საპასუხო რეაქციას, რომელიც ასეთივე სახისა იქნება, რაც ორივე მხრიდან სიკეთის ქმნადობის საწყისად გვევლინება. შეიძლება ითქვას, რომ აქ ხდება ფიზიკური არაცოცხალი სამყაროსათვის ნიუტონის ქმედება — უკუქმედების კანონი, რომელსაც საზოგადოებრივ ურთიერთობაში იგივე გამოვლინება აქვს. ამაზე მიგვითითებს ქრისტე, როდესაც გვასწავლის ადამიანთა შორის ურთიერთობას:

„ვითარცა-იგი თქუენ გნებავს, რათა გიყონ კაცთა, და თქუენცა ეგრეთვე მსგავსად უყოფდით მას" (ლუკა 6, 31).

თანამედროვე ადამიანები ერთმანეთს აზრებს უზიარებენ მხოლოდ სიტყვით. სიტყვა აზრის გამოხატვის ძირითადი საშუალებაა. მას თან სდევს შესაბამისი ინტონაცია, ჟესტიკულაცია და მიმიკა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ — რა ინტონაციით და რა კონტექსტში იქნება წარმოთქმული ესა თუ ის სიტყვა. აი, რას წერენ ამის შესახებ წარსულის მოაზროვნენი: „მშვიდი პასუხი გულისწყრომას აცხრობს, საწყენი სიტყვა კი რისხვას იწვევს". სოლომონ ბრძენი: „ავი არ თქვა არც მეგობარზე და არც მტერზე". პიტაკ მილეთელი: სიტყვით ადამიანს შეუძლია მოსაუბრე ოპონენტში გამოიწვიოს თანაგრძნობაც და მრისხანებაც. „არარაჲ არს კაცისა გარეთ შემავალი მისა, რომელმანცა შეაგინა იგი; არამედ რომელი გამოვალს მისგან, იგი არს, რომელი შეაგინებს კაცსა" (მარკოზი, 7, 15). აქ იგულისხმება ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვა. ასევე გვირჩევს ანტიკური ხანის უდიდესი მათემატიკოსი და ხელდასხმული — პითაგორე: „საუბარი უნდა წაიყვანო ისე, რომ მოსაუბრე მტერთა რიგებიდან მეგობრად ვაქციოთ და არა მეგობარი მტრად". აღსანიშნავია, რომ საანალიზო ტაეპის ფიგურალური შინაარსის ჩვენეული გაგების გასამყარებლად დიდად საგულისხმოა ვახტანგ VI შემდეგი თარგმანი: „მეორე ესეც მგონია როგორც რომ-მე ტყვია ალმასს გასტეხს, **ისრე ტკბილი და გემრიელი სიტყვა გაჯავრებულ კაცს გასტეხს და მოალბობს"** ჩვენ ამ გამონათქვამთა საფუძველზე მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ, რომ მრისხანებით ვანგრევთ იმას, რაც შექმნილია, რაც ჰარმონიაშია, ხოლო სიმშვიდით, სირბილით, პირიქით, ვინარჩუნებთ შექმნილს და მას კიდევაც ვაძლიერებთ და ვაშენებთ. ამ მომენტს ქრისტიანობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. აი, რას მიგვითითებს უდიდესი მართლმადიდებელი წმინდანი იოანე ოქროპირი: — „ისწავლოთ უკვე ძმანო უფლისა მიერ, სახარება და სიმშვიდე, ვითარცა იტყვის, ვითარმედ „ისწავლეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა" და შემდეგ სახარებიდან „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა" (მათე, 5. 5). აქაც, როგორც ლაო-ძი თავის ფილოსოფიაში, მაცხოვარი ჩვენს ყოფით არსებაში უმთავრესად სიმშვიდეს თვლის.

ამრიგად, თუ ადამიანი თავისი შინაგანი განწყობით მშვიდად, აღელვების გარეშე ხვდება მიმდინარე მოვლენებს, მაშინ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი შვიდივე სხეული აურაში ერთმანეთის მიმართ „ჰარმონიულად" ირხევა. ამ დროს წარმოშობილი აზრები იქნება მდორედ მიმდინარე, რომელსაც ახასიათებს სირბილე. ასეთი აზრის გამოთქმასა და განვითარებას შეუძლია საზოგადოებრივ ურთიერთობაში მიაღწიოს წარმატებას. ის სხვა ადამიანებში არ წარმოქმნის წინააღმდეგობას. ეს საკითხი კარგად არის წარმოდგენილი დაოისტურ ფილოსოფიაში. მის მიხედვით — „თუ აზრი ჩერდება, ხდება ხისტი, ჩნდება მოწინააღმდეგე, მტერი, ხოლო, თუ აზრი არის დინებადი, მაშინ არავითარი მოწინააღმდეგე, მტერი არ არის". — აი, სწორედ ამაში ხედავენ

დაოისტები გამონათქვამის აზრს „მსოფლიო სული ავსებს მიწას და ცას“ და ამის მთავარი პირობაა, როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, სიმშვიდე. რათა ადამიანის აურაში არ შეიქმნას შრეებს შორის დისკომფორტი, რაც ხელს უშლის აზრის დინებას, აკავებს, აბრკოლებს მის სვლას და ამის შედეგად ის ხდება ხისტი და მაგარი, რის შედეგადაც ადამიანებს უჩნდებათ მტრის ხატი, ხოლო, თუ პირიქით ხდება, მაშინ აზრი ხდება დინებადი და რბილი, რის შედეგადაც მტერი აღარ არსებობს. აი, სწორედ ეს არის რუსთაველის პოემაში მოცემული ნათქვამის ეზოთერული არსი „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“. **სიმშვიდე და სირბილე იმდენად ძლიერია, რომ მისი გამოისობით საერთოდ აღარ არსებობს მტერი, წინააღმდეგობა, ხისტი, მაგარი, ე. ი. აქედან გამომდინარე, სირბილე სიკეთის სახით იმარჯვებს ხისტზე, მაგარზე, ბოროტზე.** აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი უდიდესი ეზოთერული სიბრძნე, „ოქროს შუალედად“ წოდებული. ისევე როგორც ყველგან და ყველაფერში, აქაც მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აი, რას წერს ამის შესახებ ჩინური ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი სუნ-ძი: — „თუ ძალიან მკაცრად მოიქცევი, თავს წარუმატებლობა დაგატყდება. თუ ძალიან რბილად მოიქცევი, თავად აღმოჩნდები ბორკილებში“. ე. ი. ზომიერება საჭიროა ყველგან და ყველაფერში.

და ბოლოს, ისევ რბილის მაგარზე გამარჯვების „შესახებ. ეს სიბრძნე ყველაზე მეტად ადამიანთა ურთიერთობაშია გამოსადეგი. ეზოპე წერს: „მოფერებით მეტს მიაღწევ, ვიდრე უხეში ძალით“. ამ დევიზით ჩვენ მოსწავლე-ახალგაზრდობას უნდა ვასწავლოთ ცხოვრება აღმოსავლური სიბრძნის თანახმად. რაც ძალზე ძნელია, ძნელია იმდენად, რამდენადაც იმდენი შეხედულება და აზრია ამ ქვეყანაზე, რამდენი ადამიანიცაა. ამ სიძნელის გადალახვაში, როგორც წარსულის ბრძენნი და ფილოსოფოსნი გვასწავლიან, რომელთა აზრის კულმინაციასაც მართლმადიდებლური სწავლება წარმოადგენს, მთავარი პირობა — სიმშვიდე და სირბილეა. თუ ჩვენი ცხოვრების სავალ გზაზე ამ პირობით ვივლით, ყოველთვის წარმატებას მივაღწევთ, რამეთუ ჩვენი ქმედება ყოველთვის სიკეთისაკენ იქნება მიმართული. ჩვენი აზრით, სწორედ ასეთნაირად შეიძლება იქნას გაგებული ის ეზოთერული სიბრძნე, რომელიც შოთა რუსთაველმა თავის პოემაში მოგვცა: „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“, რაც თავისი აღმზრდელობითი მნიშვნელობით ძალიან საყურადღებოა, როგორც პიროვნების საერთო ფორმირებისათვის, ასევე მისი მსოფლმხედველობრივი ორიენტაციისათვის.

## ბ. ჯორბენაძე — 60

შუშანა ფუტკარაძე, ქაზიმ უჩარი (დაღესტანი), ბესარიონ ჯორბენაძე, ვაჟა შენგელია, მ. ვოზოლაშვილი. 1988 წ.



ნიკო ოთინაშვილი

# წარწერებს, ტოპონიმებს იურიდიული დაცვა სჭირდებათ

ქართულ ენაზე საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა მსოფლიო მნიშვნელობის კულტურის ძეგლები. როგორც დიდი მეცნიერი ნიკო მარი წერს: „ქართულ ენაზე ყველაფერი გამოითქმის რა გინდა რა ენით მსოფლიოს ყველა ენაზე, ამით ქართული ენა მსოფლიურია".

ქართულ ენაზე შექმნილი გეოგრაფიული სახელწოდებები ერისა და ენის საუნჯეა, ქართველი ხალხის ყოფისა და ისტორიის სარკეა. ამიტომ ტოპონიმებს ისევე სჭირდება მოვლა და დაცვა, როგორც ისტორიას. ადამიანი უხსოვარი დროიდან არქმევდა ადგილს შესაფერის სახელს და თაობიდან თაობას გადასცემდა.

ადგილის სახელწოდებების დაცვა და გაუმჯობესება ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში დიდი ზრუნვის საგანია. ჩვენთან კი საქართველოში, ძველი კულტურის ქვეყანაში, ყოველივე ეს უგულებელყოფილია და ნაკლები ზრუნვის საგანია. უფრო მეტიც, საქართველოში მცხოვრებმა ყველა უმცირესობამ თავის დროზე, უფრო ოციან წლებში, როცა ჩვენს დამოუკიდებლობას ებრძოდნენ, საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი პირების სახელები უწოდეს სოფლებს, დაბებს, ქუჩებს, ქარხნებს და ა. შ.

არავითარი იურიდიული სტატუსი რომ არ მოქმედებდა, ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენს სინამდვილეში ოსმა ექსტრემისტებმა ბევრი სახელი თავიანთ ნებაზე თარგმნეს ან ქართულ ტოპონიმებს ახალი, გამოგონილი სახელი შეარქვეს.

1922 წელს შეიქმნა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც კომუნისტებმა შუა ქართლში დააარსეს. ამას კი მოჰყვა მცდელობა, რომ ძირძველი და ისტორიულად ცნობილი ტოპონიმები მთლიანად შეეცვალათ ან ოსურ ენაზე გადაეკეთებინათ.

ამ მხრივ ნიშანდობლივია ასეთი ფაქტი: 1934 წელს მაშინდელ სტალინირში დაიბეჭდა ბროშურა სათაურით: „სამხრეთ ოსეთის დასახლებული პუნქტების, მდინარეებისა და მთების ახალი სახელწოდებები". ბროშურა ითვალისწინებდა მაშინდელი ოლქის 686 ტოპონიმიდან 411-ისათვის სახელის შეცვლასა და გადაკეთებას. ამ საქმის ინიციატორებს ერთი ხელის მოსმით სურდათ ისტორიის წაშლა. მაგალითად, მათი აზრით **ქემერტი** უნდა შეცვლილიყო **ჩემერტად**, **ქვემო აჩაბეთი — დოლლაგ აჩაბეთად**, **კეხვი — ჩეხად**. **მამიაანთკარი — მამითად**, **მონასტერი — ფერსიგად**, **სვერი — სერად**, **თამარაშენი — თამარესად** და სხვა.

ამ იდეის ავტორებს, მათდა სამწუხაროდ, მაშინ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ.

მიუხედავად ამისა, ფრონეს ხეობის სოფელ თიღვის მიდამოები ოცდაათიან წლებში ზნაურად მოინათლა და ეს სახელი დღესაც ჰქვია დასახლებულ პუნქტს. ისევ ფრონეს ხეობაში გიორგიწმინდას — ისაკუთ (ისაკის სოფელი) შეარქვეს. მათ დაერქვა ქართველთმოძულე თოფიაზ ყაზილების სახელები, რომლებიც თარეშობდნენ მხარეში, ჩვენს დამოუკიდებლობას ებრძოდნენ და ქართველ მოსახლეობას ხოცავდნენ.

ძველ ქართულ სოფელს **წუნას** — ხეთაგუროვი უწოდეს და ამით ექსტრემისტებმა თვით დიდი პოეტის სახელს მიაყენეს ჩრდილი, რადგან კოსტა ხეთაგუროვის სახელს ამით არაფერი მიმატებია.

მადლობა ღმერთს, იმავე ოცდაათიან წლებში დაბა **ახალგორს**, რომელსაც **ლენინგორი** ერქვა, ძველი სახელი დაუბრუნდა და ეს სიამაყით გვავსებს. რადგან თვით **ლენინგრადსაც** კი ამ კაცთმოძულის სახელი არ დაუტოვეს და ძველი სახელი — სანქტ-პეტერბურგი აღუდგინეს.

ჩვენს გეოგრაფიულ სახელებში მოცემულია კონკრეტული შინაარსი და თითქმის უმრავლესობა ქართული ენის საშუალებით აიხსნება, თუმცა გვხვდება სხვა ენით შეცვლილებიც.

წავიდა ავადმოსაგონარი წლები, გავთავისუფლდით იდეური წნეხიდან. წარსულის შეცდომები უნდა გამოსწორდეს, უნდა მოვახდინოთ ტოპონიმების რეალიზაცია. მათ იურიდიული სტატუსი უნდა მივანიჭოთ.

## ახალი წიგნი



*„შეჰგუბა ფიქრი თეთრ აკლდამაზე
გაუნელებელ ცრემლის, ნაცრის, სიცივე? სხვა არის ფიქრი ამაზე
ლოცვისო... აზრი მისი, რაც არის."*

გალაკტიონი

მანანა ტაბიძე

# სიტყვათა გზები?

2002 წლის 6 ივნისს ბავშვთა სასწავლო-შემოქმედებითმა სტუდიამ – „ალგეთის დედამ" – გამართა წარმოდგენა „საყდარშია თეთრი მტრედი". მე უკვე ორჯერ მოვუძღვენი წერილი ამ უაღრესად საინტერესო სტუდიის შემოქმედებას და შესაბამისად, არა მარტო დავტკბი მათი ნიჭიერებით, არამედ ვფიქრე კიდევ ამ ტკბობისა და სიხარულის წყაროზე. შევეცადე გამომეცნო, რამ განმაცვიფრა უჩვეულო მღელვარება, როგორ მოახერხეს ამ პატარა „მოყვარულებმა" და მათმა მასწავლებლებმა (ნანა ხოჭოლავამ, თინათინ გაბოძემ, ნინო ქარცივაძემ, რუსუდან სიქოვანმა, დალი ცანავამ, თინათინ შერვაშიძემ და მაკა ჩხაიძემ) მრავალ პროფესიულ სპექტაკლზე მეტად ჩემი (და დარბაზში მყოფი ყველა მაყურებლის) გულის დაპყრობა. გულწრფელობით? დიახ! ნიჭიერებით? დიახ! ასაკით? დიახ... მაგრამ იყო კიდევ რაღაც, კიდევ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი: ჩვენ და ისინი თითქოს ვსაუბრობდით ჩვენს უდიდეს საიდუმლოზე, ჩვენს განსაკუთრებულ სიმდიდრეზე, ჩვენი ჩუმი ნატვრისა და ტკივილიანი სიყვარულის საგანზე – „დედა"მიწაზე, „დედა"ენაზე, „დედაზე"... ჩემი თვალები მზად იყვნენ ცრემლისათვის, გული მზად იყო ტკივილისა და სიხარულისთვის, გრძნობა ქვეცნობიერად ელოდა სამშველო სიტყვას... სტუდიის ხელმძღვანელმა და სპექტაკლის სულისჩამდგმელმა ნანა ხოჭოლავამ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ეს **სპექტაკლი ცნობილი ენათმეცნიერის ბესარიონ ჯორბენაძის ხსოვნას მიეძღვნა.** ვინც ბატონ ბესიკს იცნობდა, ის მიხვდება, რატომაც დაუკავშირა მის სახელს მისმა ახალგაზრდა მოწაფემ ქართული ენის ზეიმის ეს დღე. ისინი ადვილად წარმოიდგენენ ბატონი ბესიკის



ღიმილსა და სხივიან სახეს, სპექტაკლში ასახულ სიტყვათა მრავალფეროვნებით მაგიურად აღტაცებულს... ხოლო, ვინც არ იცნობდა, მისთვის ბესიკ ჯორბენაძის სახელი დაუკავშირდება ქართული სიტყვის სიყვარულის გრძნობას და საქმით სამართლიანადაც. რადგან ამ მიძღვნით მოსწავლემ თავის მთავრების ერთ-ერთ წყაროზეც მიგვანიშნა და გაგვახსენა კიდეც, თუ მასწავლებელი გქონდა, შენმა „ნასწავლებმა" მოწაფეს ამგვარი საქმეები უნდა მოაგონოს ამ ქვეყნიდან შენი წასვლის შემდეგაც... ვფიქრობ, მასწავლებელს გაახარებდა მოსწავლის საქმეები.

სტუდიამ წარმოადგინა სპექტაკლი, რომელშიც მშობლიურ გარემოს მოწყვეტილი, გაუცხოებული პატარა ბიჭი მშობლიური ენის გაცნობიერების გზით სამყაროს შეცნობას იწყებს; ყოველი ახალი ქართული სიტყვა ამ სიტყვით აღნიშნული საგნისა და მოვლენის არსსაც საცნაურს ხდის მისთვის, და რამდენადაც ეს სიტყვები ქართული სიტყვებია, სამყარო ქართულდება ბავშვისათვის; მეგზურობას კი მას ქართული თამაშობები და ლექსები უწევენ. სამშობლო და დედაენა ღვთითა აქვს ადამიანს, ამის მისანიშნებლადაა მოხმობილი ექვთიმე ათონელის ბიოგრაფიიდან ის ეპიზოდი, სადაც ღვთისმშობელი ქართული ენის მადლით განკურნავს სნეულს.

ენის ფენომენი ოდითგანვე ყოფილა მრავალთა ფიქრისა და ძიების საგანი. ამ საკითხზე უფიქრიათ თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს, უფიქრიათ მოვლენათა ასახსნელადაც და განსაჭვრეტადაც. ბევრჯერ უცდიათ, რაც შეიძლება ლაკონური და ზუსტი დეფინიცია მოეძებნათ ენის ცნებისათვის, აღეწერათ მისი ფუნქციები და თავისებურებანი. და მაინც... მეცნიერები ამბობენ, რომ ენა ადამიანისათვის საურთიერთო და სააზროვნო საშუალებაა, პოეტები კი იტყვიან, რომ ენაშია სამყაროს აღქმა, სამყაროს ცოდნა, უფლის მიერ ჩვენთვის ნაკარნახევი სიბრძნე სამყაროსთან ურთიერთობის შესახებ, რომ ენაშია ადამიანთა ერთობის მთავარი პირობა, რომ ენას უხილავი ძაფებით უჭირავს წარსული აწმყოში, ენა ადამიანის სულის გამოხატულებაა, რომ „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს"...

მეცნიერება ქედმაღლურად უყურებს პოეტთა მაღალფარდოვნებას, პოეტებს კი „მშრალი



ემპირიის" მიმართ უნდებათ პროტესტის გრძნობა, რადგან პოეტზე უკეთ არა ვინ იცის მიღმური სამყაროს ამბავი. ხულით პოეტი უნდა იყოს ის ალამიანი, რომელიც დაინახავს და სხვასაც დაანახვებს, როგორ ლვას შემობლიურ ენას მოწყვეტილი ალამიანი მარტო ბნელ, უდაბურ ალგილას, მის ირგვლივ ობობას ქსელივით დახლართულან სიხათლისაკენ სავალი გზები და ამ უსაშველო ლაბირინთიდან ერთად ერთი გასასვლელის პოვნა მხოლოდ სწორი სახელდებით შეიძლება მოხერხდეს. მაყურებელი მძაფრად გრძნობდა სპექტაკლის შემქმნელთა ნაღვლიანს. გრძნობდა, რომ ასე მუშაობა საჭიროა, რომ დღევანდელი საზოგადოების გასანგრძლივებულ დეპრესიას მხოლოდ სამშობლოში დასაბრუნებელი გზის პოვნა განკურნავს.

ჯადოსნურ ზღაპარსა ჰგავს დედაენის მაგიურ სამყაროში შესვლის რიტუალი: ყოველ ყვავილს, ყველაზე პაწიასაც კი, თავისი სახელი აქვს ჩვენში და ამ სახელებს თუ გამოიცნობ, გაცოცხლდება ნაზი მცენარე და ირგვლივ საამო სურნელს მიმოაფრქვევს. მკვდარი ნიტებიც გაცოცხლდებიან, თუკი მათ სწორად დაარქმევ სახელებს, ბუნება წყალობას მოიღებს, თუ ქარსა და წვიმას სათანადო სახელს მოარგებ, შარახვეტია გლახაკი თუთრიოხიანი რაინდად გადაიქცევა, როდესაც სწორად სახელდებული ხელმარჯვე ოსტატები, სწორად წარმოთქმული ზმნებად და ნაცვალსახელებად გახლდებიან ლაბირინთის უკრებში და მტრად მოკიდებულ სამყაროს მოყვრად გადაიქცევნ...

დღევანდელმა სიდუხჭირემ მრავალ ქართველს დაატოვებინა სამშობლო და უცხოეთის გზას გაუყენა, აქ დარჩენილთაგანაც ზოგი აქაური ცხოვრების წესით კი არ ცხოვრობს, უცხოურ ნორმასა და მოდას უზომება... ვაი, რომ ჩვენ ძალა არ შეგვწევს მათ შესაფერებლად, ვერც ხელს გაუმართავთ (თავად არაფრის მქონენი) და ვერც მკაცრი სიტყვით შევაკავებთ... მარტო ის შეგვიძლია, ქართული ენის ძაფის გორგალიდან ერთი წვერი გავუწოდოთ და გზათა ლაბირინთში დაკარგვას გადავარჩინოთ, თანაც ვუთხრათ: როცა მარტოობის სენი ხელს დაგრევთ, როცა რკინა-ბეტონის ცათამბჯენებში სული შეგეხუთებათ, როცა მოსალმოებულზე გაზმორებული ბულისცემა რადაც ქართულს მოგაგონებთ, გაიხსენეთ, როგორ მიმართა დავიწყებასა და უცხოობაში გადაკარგულ, სნეულ აქილევს აიონელს დეიისმშობელმა: „არარაი არის ენებაი შენ თანა, ალდგა, ნუ გეშინის და ქართულად სხნილად უბნობდი?" ბავშვთა სასწავლო-შემოქმედებითმა სტუდიამ — „ალვილის დედამ" — ქართული ენის უძვირფასეს ნაქსოვ-ნაქარგს ერთი ძაფის წვერი მოუძებნა და ჩვენ გამოგვიწოდა, თუ ამ ძაფს გაჰყვებით...

დიახ, კიდევ ერთი სპექტაკლი გათამაშდა ბაგრატიონ-მუხრანელთა თბილისურ სახლში (საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება), იქ, სადაც ასე ამაღლებულად შეეხამა ერთმანეთს წარსული და აწმყო.



ალბათ, არაფერი ისე არ გაახარებდათ ამ შენობის ძველ პატრონებს, როგორც 6 იენისს ამ არისტოკრატული სახლის მარანში გამართული სანახაობა... ო, როგორ ქართულობდნენ პატარა ქართველები, როგორ ილიმებოდა მაყურებელი, რომელიც პაწია მსახიობებთან ერთად თავისდაუნებურად იმეორებდა ბავშვობაში ნასწავლ დაუვიწყარ სიტყვებს: „აი ია", „აი მზე" „აი მთვარე"... და პატარებთან ერთად მიიწევდა წინ, ლაბირინთის ერთადერთი გასასვლელისაკენ, სადაც სინათლე, სიმართლე და ჯადოსნური ზღაპრის კეთილი ბოლოა.

ჩვენი ჟურნალის რედკოლეგიაში

**მირიან ხაჭვანის**

გვარის გასწვრივ ჯვარი დავსვით...



დღიდან „ბურჯი ეროვნებისას" დაარსებისას მირიანი სიტყვით თუ საქმით მართლაც ბურჯივით გვედგა გვერდით. უშურველად იხარჯებოდა ჟურნალისათვის... ბიზნესი მისთვის არ იყო მხოლოდ პირადი გამდიდრე-



ბა-განდიდების წყარო; ქველმოქმედება ცხოვრების წესი იყო ახალგაზრდა კაცისათვის. ითქვა და იტყვიან კიდევ ამის თაობაზე... მირიანის გარეშე დღემდე მოღწევა „ბურჯი ეროვნებისას" ნამდვილად გაუძნელდებოდა...

ოცდაათ წელში ჩაატია თავისი ლამაზი



ცხოვრება... უამრავ განუხორციელებელ გეგმას, აუსრულებელ მიზანს მცხეთის ჯვრისა და სვეტიცხოვლის თვალწინ დაუსვა მკაცრი წერტილი ბედისწერამ...

გარეკანი მის ელენესა და პაპას მირიანს დავამშვენებინეთ. მამისა და ბიძის ლამაზი, მართალი, ქართული ცხოვრება ყოფილიყოს მათთვის მაგალითი და კეთილი მეგზური.

